სახალხო გაზეთი

№ 723 კვირა, 14 ოქტომბერი 1912 წ. № 723

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა‘‘-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი‘‘-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი‘‘ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, **თვეში** — 75 კაპ. **დამატებიანი** 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის“ მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

სამშაბათს 16 ოქტომბერს, სოფ. ბაზში (შორაპნის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნატალია ექვთიმეს ასულის კურცხალიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ **მეუღლე მისი პავლე იოსების ძე კურცხალია.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 725.

ფაზიკო, ტიფო, იოსებ, ერმალოზ გოგელია და კამანდო-რგეიანი-გოგელია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 12 ოქტომბერს, ოზურგეთში გარდაიცვალა პირველისა—ქმარი, მეორისა, —ძმა, დანარჩენთა—ძამა

ილიკო გაბრიელის ძე გოგელია.

დასაფლავება დანიშნულია კვირას, 14 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1552

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. ზ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
საქალოსნო-ქალთა ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½ **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირბდოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირბდოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. ზ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ. ელექტრ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათ[illegible]ით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოხსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606‘‘ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

ტელეფ. № 795. ## ქართული თეატრი

წარმოდგენა № 8.

კვირას, 14 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ცნობილი პიესა** **კ ი ნ ი,** დრამა 5 მოქ. ა. დიუმას შვილისა, თარგმანი ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, კარგარეთელი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, ქიქიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: ხუთშ., 18 ოქტ., წარმ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწ. პირველად ახალი ორიგინალური პიესა **ვალ. შალიკაშვილისა—,,გადაჭრილი მუხა‘‘.**

1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ◆ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული).

კვირას, 14 ოქტომბერს, 1912 წ.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენ. იქნება **სამხედრო ბანაკში,** დრამა 4 მოქ., თარგ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ. მარგველაშვილი; ბ-ნნი **ივანიძე,** სულთანიშვილი, კორძაია, თავდგირიძე, მეფარნიშვილი, მაჩხანელი, კულულაშვილი, კილოსანიძე, ასანიშვილი, ჯიბლაძე, გოძიაშვილი, მჭედლიშვილი, ჯანოშვილი და სხვა. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგ. ფასი 50—4 კ.

ანონსი: 27 ღვინობისთვეს **ილია ჭავჭავაძის** 75 წ. დაბადების აღსანიშნავად გაიმართება **ლიტერატურული გასამართლება „დიმიტრი თავდადებულისა“.** წარმოდგენილი იქნება ,,დედა და შვილი‘‘ და ქართული კონცერტი.

1484. რეჟისორი **ი. ივანიძე,** მორიგი გამგე **ზ. ფორაქაშვილი.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნოში

მიიღებენ შესაკერად კაბებს: ქალებისას და ბავშვებისას ხელმისაწდომ ფასებში. იქვე მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს აბრეშუმით ნაკერს და საცვლებზე ნიშნების (მეტკების) ამოკერვას.

გაბაანთ ქუჩა № 3. 729.

დრამატიული კურსები

ქართულ თეატრთან არსებული,

გაიხსნება ამ წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ კურსებზე ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ყოველივე ცნობათა მიღება და პირობათა გაგება შეიძლება **ვლ. ალექსი-მესხიშვილსა და ვალერიან გუნიასთან** ყოველ დღე ქართულს თეატრში. 1541.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყოროღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის იწვევს ორ მასწავლებელს,

რომელთაგან თითოეულს მიეცემა ჯამაგირად წელიწადში 1008 მან. მსურველებმა თხოვნით უნდა მიჰმართონ ქ. ქუთაისში შავი ქვის მრეწველთა საბჭოს **25 ოქტომბრამდე.** საჭირო საბუთები ახლავე უნდა წარმოადგინოს ან აღნიშნოს, თუ სად ინახება ეს საბუთები. 1547.

◆— · ქ ბ ო რ შ ი ◆—

თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

ამით აცხადებს,

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ერისთავის სახლში № 18. 1491.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ა კ ა კ ი ს თხზულებანი:

აკაკის რჩეული ლექსები ფასი	10 კ.
— ალექსი	10 „
— ბაგრატ დიდი	10 „
— გამზრდელი	5 „
— გოგია მეჩონგურე	5 „
— გორის ციხე	5 „
— დათუნა გოცირიძე	5 „
— თამარ მეფე	5 „
— იგავ-არაკნი ნათარგმნი	50 „
— ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი	10 „
— მამლის ყივილზე	10 „
— ნათელა	20 „
— ნაცარქექია	10 „
— ორი პუბლიც. სტატია	10 „
— ოცნება	10 „
— სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა	10 „
— სიმღერა	15 „
— ყვითელი სანთელი	10 „
— ქუთათლის სიზმარი	5 „
— ჩემი ნაწერები	75 „
— ჩემი თავგადასავალი	1 მ.— „
— წმინდა ნინო	20 „
— Избранныя стихотворенія въ переодѣ русскихъ поэтовъ	20 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамстность. 1141.

ვინაიდან **საბერძნეთმა სერბიასა, ბულგარეთსა და ჩერნოგორიასთან ერთად ომი გამოუცხადა ოსმალეთს,** ადმინისტრაციის ნებართვით ვაცხადებ, რომ დღეს, 14 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე **ბერძენთა ეკლესიაში** (ხარფუხი, მე-5 საპ. უბანი, სოფიის ქუჩა) ჩემ მიერ

დანიშნულია სავედრებელი პარაკლისი,

რასაც ვაუწყებ ადგილობრივ ბერძენთა საზოგადოებას და პარაკლისზე დასწრების მსურველთ.

ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ი. გ. ბასტიანოვი. 728.

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მებრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 724

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ბლად დაიჰრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

ახვლედიანი შინაგან [illegible] საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

ბოგუსვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი –ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ დღ., კვ გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606‘‘-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს ,,კორონკები‘‘ და ,,ვსტავკები‘‘ (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

ექიმი

ს. ი. ბძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მიქელაძე. შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606‘‘-ით. 1018

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი

ივ. გომართელი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი

ქ ა ლ ი

დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს, საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი

კბილისა და ღრძილებისა

პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1[illegible]

ექიმი

პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი

კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

გადამწყვეტი შებრძოლება

მიმდინარე ამბებს, საარჩევნო ბრძოლას და აზრთა შეტაკებას რომ აკვირდება ადამიანი, უნებლიედ გონების თვალებს იბრუნებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებისაკენ, როდესაც პირველად შეეჭიდა ერთმანეთს ორი საზოგადოებრივი მიმართულება, ჯერ კიდევ ემბრიონალურ ფაზაში მყოფი. დღეს, როდესაც ბევრისათვის გაუგებარია აზრი და ხასიათი არჩევნების გარშემო ატეხილ ბრძოლისა, მეტი არ იქნება გავიხსენოთ ზოგიერთი ეტაპები იმ დიდმნიშვნელოვან მოძრაობისა, რომელ-

საც საძირკვლად ეროვნული თვითშემეცნების განვითარების აზრი ედვა.

თხუთმეტი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ღირსცნობი ისტორიულ ხასიათის ბრძოლა გაჩაღდა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში. ამ თხუთმეტი წლის წინად სამწერლო და საზოგადო ასპარესზე გამოსულმა მწერლებმა აღიარეს ის უცილობელი აზრი, რომ ქართველ დემოკრატიის ზრდა-ვითარება უნდა სწარმოებდეს ეროვნულ ფარგალში, ეროვნულ კულტურის განვითარებისათვის ხელშემწყობ პირობებში. მართალია, ეს არ იყო ახალი აზრი. მესამოცე წლებიდან მოყოლებული უკეთესი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა ყოველთვის ამ ნიადაგზე იდგა. მაგრამ ამ თხუთმეტი წლის წინად ზემოდ აღნიშნულ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა და სიცხოველე მიეცა, რადგან სწორედ ამ ხანაში იყო, რომ ქართულ ცხოვრებაში გაისმა ანტიეროვნული ხასიათის ხმა და ღაღადისი. ქართველი დემოკრატია გამოდიოდა სამოქმედოდ არამც თუ ეროვნულ პროგრამის უქონლობით, არამედ ამ პროგრამის საჭიროების უარ-ჰყოფითაც. ეს იყო შემცდარი ნაბიჯი, რომელიც დემოკრატიის და მისი ხელმძღვანელების მოუმწიფლობით აიხსნებოდა. და ამ შემცდარ ნაბიჯის წინააღმდეგ პროტესტის ხმას, თხუთმეტიოდე წლის წინად რომ გაისმა ჩვენს პრესაში, განსაკუთრებული ხასიათი და მნიშვნელობა მიეცა. აქედამ იწყება ბრძოლა ორ მიმართულებისა, ბრძოლა, რომელსაც ეხლა უკვე თავისი ისტორია აქვს და რომლის ერთ-ერთ მოქმედებას დღეს განვიცდით. ეს ბრძოლა არის ფრიად საყურადღებო საგანი ჩვენის ცხოვრებისა. ამ ბრძოლის საბოლოო შედეგზედ იქნება დამოკიდებული, მოესპობა ქართველ ერს თვით-არსებობა, თუ იგი ივლის კულტურის გზით და გაშლის და განავითარებს მასში შეგროვილ ძალას. ეს არის საკითხი ქართულ-ეროვნულ კულტურის სიცოცხლე სიკვდილისა. თუ ქართველმა დემოკრატიამ აუხვია ეროვნულ კალაპოტს და საბოლოოდ უარჰყო ეროვნულ იდეალისაკენ მისწრაფების აზრი, იგი თავის ხელითვე დასწერს სიკვდილის განაჩენს. ხოლო თუ შეიგნებს ამ განსაცდელს და ეროვნულ თვითმართველობის გზას არ აუხვევს, მისი მომავალი უზრუნველყოფილია. აი დედა-აზრი იდეიურ შეტაკებისა, რომელიც სწარმოებს ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში თხუთმეტი წლის განმავლობაში. მე არ ვეხები **სოციალურ** მხარეს ამ შეტაკებისას, რადგან, რაც დრო მიდიოდა, ნათლად სჩანდა, რომ ორი მებრძოლი მხარე არ იყო დაყოფილი კლასიურის ინტერესებით და ანტაგონიზმით. ეროვნული ჯგუფი გარკვეულ დემოკრატულ სახეს ითვისებდა. და აღძრული შეტაკება არ იყო ბურჟუაზულ ნაციონალიზმის და დემოკრატიზმის შეტაკება, არამედ შეტაკება ორად დაყოფილ დემოკრატიისა. მართალია, ეს ორი ბანაკი თანაბარი ძალღონისა არ იყო. მაშინ, როდესაც ეროვნულ პრინციპების მცველებად გამოდიოდა ერთი მუჭა დემოკრატულ მიმართულების ინტელიგენციისა, მეორე ბანაკში შეგროვდნენ არა მარტო ინტელიგენტები, არამედ ახალი ძალა და ელემენტი, მუშა ხალხი. ასე რომ იმ თავითვე ძალთა განწყობილება იყო უმადური. ეროვნულ პროგრამის უარმყოფელად თვით ხალხი გამოდიოდა და ინტელიგენცია ამ მიმართულების იდეოლოგად ისახებოდა. ამ პირობებში დაიწყო ბრძოლა.

მოკლე წერილში შეუძლებელია აღნუსხვა ამ საყურადღებო ბრძოლის ყველა ტიპიური მომენტებისა. ჩვენ გვინდა მხოლოდ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ერთ მომენტზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ საქმის გამარჯვებისათვის. ჩვენს ცხოვრებაში დადგა ხანა, როდესაც ბუნდოვანი, ზოგადი ფრაზეოლოგია უარყოფილ იქმნა და როდესაც გარკვეულის პოლიტიკურის ტერმინოლოგიით დავიწყეთ ლაპარაკი. ეროვნული მისწრაფება, რომელსაც განყენებულის მცნებებით ხსნიდნენ წინედ, ახლა კონკრეტულ პოლიტიკურ ფორმულაში ისახებოდა. კონკრეტულ და გარკვეულ ტერმინოლოგიას მოჰყვა გარკვეული და ყველასათვის გასაგები აზროვნება. ეროვნულ პროგრამის განმარტება განსაზღვრულის ფორმულით, აზროვნების განსაზღვრულობას ჰგულისხმობდა. და მართლაც, მას შემდეგ, რაც ჩვენს საზოგადოებაში დატრიალდა ავტონომიის მცნება, ბოლო მოეღო როგორც მყვირალა ბუნდოვან პატრიოტულ ფრაზეოლოგიას ისე „დასელების“ უარყოფას ეროვნულ პროგრამის საჭიროებისა. ვინც გაცნობილია იმ კამათს, რომელიც ჰქონდათ ჩვენებურ „დასელებს“ თავიანთ რუს—თანამოაზრეებთან ეროვნულ საკითხის შესახებ, მისთვის დაფარული არ არის ის გარემოება, რომ ეროვნული ფორმულა, წამოყენებული „დასელების“ მოპირდაპირეთა მიერ, იყო ერთ-ერთ ძლიერ სტიმულად, რომელმაც აიძულა და შეამუშავებინა ისდეკებს ნაციონალური პროგრამა ამ საუკუნის დასაწყისში. პროგრამის შემუშავების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენებურ „დასელებს“. უკანასკნელნი აფრთხილებდნენ თავიანთ რუს—თანამოაზრეებს — საქმეს ნუ აბრკოლებთ, ჩვენი მოპირდაპირენი განსაზღვრულ ეროვნულ ფორმულით შეიარაღდნენ და თუ ამ ფორმულას შესაფერი ჩვენი ფორმულა არ წამოუყენეთ გვერდით, შესაძლებელია ჩვენი მოპირდაპირეების გამაგრება და „დასელების შესუსტებაო. მაშინ, იმ კამათის დროს, ჩვენებური უარმყოფელები ეროვნულ პრობლემისა ნაციონალისტების სახელითაც კი იყვნენ მონათლულნი თავიანთ თანამოაზრეთა მიერ. როგორიც უნდა იყოს იმ დროს შემუშავებული აღნიშნული პროგრამა, იგი მაინც პროგრამა იყო. ოლქობრივი თვითმართველობის პრინციპის აღიარება უკვე დიდი ნაბიჯი იყო. პროგრამის საჭიროების აზრი, რომელიც დამკვიდრდა „დასელების“ წრეებში, პირველი გამარჯვება იყო მათის მოპირდაპირეებისა.

დრო მიდიოდა. რუსეთში დამყარდა „ახალი“ რეჟიმი. სამ სათათბიროსთვის სამჯერ მოხდა ჩვენშა პოლიტიკური არჩევნები. ამ არჩევნებში სამივეჯერ „დასელებს“ ერგოთ გამარჯვება. საქართველოში მათ თანაუგრძნობდნენ და მათი მოპირდაპირენი მარცხდებოდნენ. დრო მიდიოდა. პრესაში გაცხარებული კამათი გრძელდება. ეროვნული პრობლემა ხდება ცენტრალურ პრობლემად. „დასელების“ წრეებსაც რყევა დაეტყოთ. გაჩნდნენ ეს-დეკი ავტონომისტები. კულტურული ავტონომიის პრინციპი სადისკუსიო საგნად ხდება. ტერიტორიალურ-ნაციონალურ თვითმართველობის მომხრენი გაორკეცებულის ძალღონით მიდიან იერიშით თავიანთ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ. „დასელები“ უმაგრდებიან, რადგან უმრავლესობა ჯერ კიდევ იმათკენაა. მაგრამ, ნელ-ნელა და თანდათან მათს აზროვნებაში ღრმა ცვლილება ხდება. ამ ზაფხულს ცნობილ ნ. ჟ.—ს წერილები ეროვნულ საკითხის შესახებ საუკეთესო ნიმუშია ამ ცვლილებისა. ათი წლის წინად „ცნობის ფურცელში“ რომ დაბეჭდილიყო მსგავსი წერილი, „კვალი“ მედგარ ბრძოლას გამოუცხადებდა. დღეს კი „კვალის“ ბანაკში იბეჭდება იგი...

როგორც ხედავთ, დიდი ისტორიული ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ჩვენი მოპირდაპირენი თანდათან უკან იხევიან და დროთა მსვლელობაში პოზიციას პოზიციაზედ ჰკარგავენ. და დანამდვილებით ისიც ითქმის, რომ მათი მოპირდაპირენი დღესაც იმ ნიადაგზე დგანან, რომელზედაც იდგნენ იმ თავითვე.

ბრძოლა გაჩაღებულია ხელმეორედ. რაც შეუძლებელი იყო წინად, შესაძლებელი გახდა დღეს. დასავლეთ საქართველოში მომხდარ არჩევნებში დღემდე ეროვნული პრინციპია გამარჯვებაში. მაგრამ დასამლევი დაბრკოლება ჯერ კიდევ ბევრია. 18 ოქტომბერს დანიშნულია ქუთაისში ახალი არჩევნები. კიტა აბაშიძეს ხელმეორედ ასახელებენ. ამ არჩევნების შედეგზეა დამოკიდებული ეროვნულ პრინციპის გამარჯვება. თუ იგი არჩეულ იქმნა ამომრჩევლად, დასავლეთ საქართველოში ლელოს გამტანი ის მიმართულება იქნება, რომელიც თუთხმეტი წლის განმავლობაში ეომება გამათახსირებელ ეროვნულ ნიღილიზმს. 18 ოქტომბერს ქუთათურები აასრულებენ თავიანთ მოვალეობას და გამარჯვებას კიტა აბაშიძეს არგუნებენ. და ეს იქნება დასაწყისი, ახალის ეტაპისა ეროვნულ მოძრაობის განვითარების საქმეში.

არჩილ ჯორჯაძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ფრიად საგულისხმო წერილია დაბეჭდილი პეტერბურგის გაზეთ „ნევსკაია ზვეზდა“-ს მე-27 ნომერში: „ომი და სოციალიზმი ბალკანეთში“, რომელიც მოგვყავს:

„ბულგარეთისა და სერბიის სოც.-დემოკრატები დიდ ბრძოლას ეწევიან ომის წინააღმდეგ. ბალკანეთის სოციალისტებს თავის პოლიტიკურ მიზნად მიაჩნიათ შექმნა ბალკანეთის ფედერატიულ რესპუბლიკისა, რომელიც უნდა ემყარებოდეს ბალკანეთში მოსახლე ეროვნებათა თავისუფალ, თანასწორ და თვითმმართველობიან კავშირზე. ბალკანეთში მოსახლე ეროვნებანი მხოლოდ ამ სახით ეღირსებიან შემოქმედების ძალთა ფართე განვითარებას, რომელსაც ეხლა ჰხლუდავს პატარ-პატარა სახელმწიფოთა ვიწრო საზღვრები და მუდმივი ურთ-ერთის მოქიშპეობა, რაც გნიასს აცლის ხალხს. მხოლოდ ფედერატიულ-რესპუბლიკანურად გაერთიანებული ბალკანელები თუ შესძლებენ უცხოეთის კაპიტალისტების ანგარებით გაჟღენთილ საახალშენო პოლიტიკას.

„ბალკანეთის სოციალისტები ამ მიზნის მისაღწევად ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მოპირდაპირეს ებრძვიან. ბალკანეთის ნამდვილ გაერთიანებას ელობება ჯერ ერთი მთავრობათა ვიწრო ჯგუფებრივი სარგებლობა და მეორეც სხვა სახელმწიფოთა სხვა და სხვა მოწოდებანი.

ბალკანეთის გაერთიანებისა და ბალკანეთში დემოკრატიულ სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგნი არიან ის სახელმწიფონი, რომელთათვისაც ბალკანეთის მკვიდრთა დღევანდელი მდგომარეობა გამორჩენის წყაროს შეადგენს. რუსეთის პატრიოტები, რომელნიც ეგოდენს გაჰკივიან სლოვიანთა თანაგრძნობაზე, ყველაზე მეტად ხელს უშლიან ბალკანეთის სახელმწიფოთა დემოკრატიზაციას. მათთვის სანატრელია არა თავისუფლება და თვითმართველობა ბალკანეთისა, არამედ ის, რომ ბალკანეთი მუდამ თვალ-წარბში შესცქეროდეს პეტერბურგს. ბალკანეთის დემოკრატიამ დიდი ხანია ალღო აართვა სლოვიანთა მოყვარე რუსების გულის ზრახვას“.

გაზეთი იხსენიებს, რომ ამას წინად ოქტომბრისტების თაოსნობით განზრახულ სლოვიანთა კრებას სოფიაში, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიამ, რადგანაც ამ თაოსნობაში რეაქციონური მუღლი ნათლად დაინახეს და შემდეგ განაგრძობს:

„ბალკანეთის სოციალ-დემოკრატია არა ნაკლების გაბედულობით ილაშქრებს აგრეთვე ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა თვითონ კარლ მარქსის აზრითაც (1856 წელი) მხოლოდ ბალკანეთის სახელმწიფოთა და ფედერატიულ რესპუბლიკის შექმნით შეიძლება, რადგანაც მაშინ ავსტრია-ჰუნგრეთი და გერმანია თავის ნაციონალურ საახალშენო პოლიტიკის მოპირდაპირე ძლიერს ძალას დაინახავდნენო“...

„ბალკანეთის სოციალ-დემოკრატთა საზიარო მოქმედების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო სოციალისტური ბიურო ბალკანეთის სახელმწიფოთა ყველა სოციალისტურ პარტიათა კონფერენციას იწვევს“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ილიას ძეგლი** თითქმის სულ მზად არის. ორშაბათს, 15 ოქტომბრიდან შეუდგებიან მის დადგმას განსვენებულ პოეტის საფლავზე. იმედი აქვთ, რომ მთელი მუშაობა ერთის კვირის განმავლობაში დასრულდება, თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა.

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.** როგორც გავიგეთ, ამ დღეებში მხატვარი დაამთავრებს პატარა სურათებს, რომელნიც ტექსტში მოთავსდებიან, და რომელთა რიცხვი ფოტოგრაფიებთან ერთად, ასზე მეტი იქნება. ამ სურათების უმეტესი ნაწილი უკვე გაგზავნილია პეტერბურგში, სადაც გამოჩენილმა ფირმამ „გოლიკე და ვილბორგ“-მა უნდა დაამზადოს კლიშეები. ყურის გდება იკისრა სარედაქციო კომისიის წევრმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა.

ტექსტის შემუშავებაც კარგად მიდის. საუბედუროდ, ზოგი ერთი ნაწარმოების ხელთნაწერი, მაგ., რომელნიც დაბეჭდილია „ფასკუნჯში“, ჯერ-ჯერობით არსადა სჩანს.

როგორც გამოირკვა, წიგნი ზომით უფრო მეტი გამოვა, ვიდრე წინად იყო ნავარაუდევი.

გამოცემა მეტად ძვირად ჯდება და ამიტომ დაიბეჭდება მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით და გასასყიდადაც არ გამოვა წიგნი.

◆ **პურის ახალი ნიხრი,** რომელიც უკვე მოყვანილი გვქონდა ჩვენს გაზეთში, გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა და ძალაში შევიდა.

◆ **შუამდგომლობა.** ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-13 კრების მომწყობი კომიტეტი ქალაქის თვითმმართველობას 500 მან. დახმარებას სთხოვს ხარჯების გასასტუმრებლად. ქალაქის გამგეობას ეს შუამდგომლობა განსახილველად შეაქვს საბჭოს მომავალ კრებაზე.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაამზადა ქალაქის საბჭოსთვის წარსადგენად მოხსენებანი ქალაქის ბუჰგალტერიისა და საიურისკონსულტო განყოფილების შტატების შესახებ.

◆ **ფრანგთა საავტომობილო საზოგადოებამ** ქალაქის გამგეობას დასაბუთებული საჩივარი წარუდგინა იმის გამო, რომ ამ საზოგადოების ავტომობილებს ქალაქს სასარგებლოდ გადასახადი დაადეს. ამ საჩივარს ქალაქის საბჭო განიხილავს.

◆ **შეიპყრეს** ტფ. მცხოვრები ვასილ ივანეს ძე ალბაშევი, რომელიც დუშეთის მაზრის სოფელ მუხრანში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ ტფილისში ნებადაურთველად დაბრუნდა.

◆ 11 ოქტომბერს, ჩხუბის დროს, ტიგრან მოსესოვმა **სასიკვდილოდ დასჭრა** მარტიროს ზაქარიას ძე შაჰვერდოვი, რომელიც 12 ოქტომბერს გარდაიცვალა.

◆ **თავის მოკვლა.** 12 ოქტომბერს, ღამით, სოლოლაკის ქუჩაზე კარბოლის სიმჟავე დალია გაზეთ „მშაკ“-ის რედაქციის მოსამსახურემ კუზმა მანახოვმა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

◆ დღეს, 14 ოქტომბერს, **ბერძენთა ეკლესიაში** (ხარფუხში) ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგს **ი. გ. მარტიანოვის თაოსნობით** შუადღის 12 საათზე **დანიშნულია სავედრებელი პარაკლისი** საბერძნეთის მიერ სერბიისა, ბულგარეთისა და ჩერნოგორიასთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ **ომის გამოცხადების გამო.**

◆ „ახალი კლუბის“ წევრებმა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინეს კლუბის წესდება, რომელშიაც ზოგიერთი მუხლები შესცვალეს.

◆ ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსმა ტფ. გუბერნატორს აცნობა, რომ ბორჩალოს მაზრის მესამე ნაწილის მომრიგებელ შუამავლის შუამდგომლობა ჯელალ ოღლში საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების გახსნის შესახებ, ჯერჯერობით არ იქნება დაკმაყოფილებული, სანამ სად. ყალაგერანიდან ჯელალ ოღლამდი რკინის გზა არ იქნება გაყვანილი, რომლის გამოკვლევასაც უკვე შეუდგნენო.

◆ ხვალ, 15 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის სამხედრო ბეგარათა საკრებულო დაიწყებს მოქმედებას, ახალგაზდათა ჯარში გაწვევის მოსახდენად. ქ. ტფილისის სიაში მოთავსებულია 820 კაცი. კენჭით უნდა გაიწვიონ ჯარში სულ 228 ახალგაზდა.

◆ მომავალ წლის გაზაფხულზე განზრახულია მოწვევა რუსეთის „სანოვაგის გასაცივებელი“ საქმის მოღვაწეთა კრებისა, რომელსაც გახსნიან მაშინ, როდესაც ტფილისის ახალი სალახანა სრულიად დამზადდება და გაიხსნება.

◆ მასწავლებელმა ა. პ. ყაზარიანმა ტფ. გუბერნატორს სთხოვა ნება დართოს გამოსცეს ყოველთვიური სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „ნორ ოსანკ“, (ახალი მიმართულება) სომხურ ენაზე.

◆ რომის კათოლიკეთა ეკლესიის სამზრუნველოს ტფ. გუბერნატორმა ნება დართო გამართოს წარმოდგენა ამ სამზრუნველოს სასარგებლოდ.

◆ რედაქციამ მიიღო ბ. ვასილ თვალაშვილის წიგნი „ესპერანტო“ მისი მსოფლიო მნიშვნელობა და ლევ. ნ. ტოლსტოის წერილი ამ ენის შესახებ. წიგნი სუფთად არის გამოცემული შეიცავს 24 გვერდს და ღირს სულ 7 კაპეიკი.

◆ გუშინ, 13 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში გადახდილ იქმნა პარაკლისი **მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის** ავადმყოფობისაგან განკურნებისათვის.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის სატეხნიკო საბჭომ, იმ ქვების ნიმუშებისაგან, რომელიც დ. ზ. მირზოევმა წარადგინა, ქუჩების მოზაიკურად მოკირწყვლისათვის მოიწონა, თელეთისა და ბამბაკის კარიერების ქვები.

◆ რედაქციამ მიიღო საპედაგოგიო ჟურნალის განათლების მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით:

შინაარსი: 1) ბუნებრივი აღზრდის გზა და მიზანი (პროფ. ლუდვიკ გურლიტტი) ლ. ბოცვაძისა. 2 ქართველი ტომები უძველეს დროიდან ქსენოფონტის ხანამდე, (დასასრული), ა. სვანიძისა. 3) ფედია **პროტასოვი** და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა (დასასრული), მ. კაკაბაძისა. 4) ჰიგიენა, ილ. ალხაზიშვილისა. 5) თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და მისი პოეზია, (დასასრული) ილ. ფერაძისა. 6) მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან ექ. ევგ. ლოსაბერიძისა. 7) ყარიბის ღალადი, დ. თურდოსპირელისა. 8) მასწავლებელმა ვალი მოიშორა, მესხი ვ. მიქელაძისა. 9) ჩამოჭკარ სიმთა!.. აკ. სვანისა. 10) მე ოცნებითა ვერ შევქმენი, ს. აბულაძისა. 11) ფიქრთა გემი, გელასი. 12) განთავისუფლებული, ეტიუდი ზარფოდისა, (თარგმანი) დ. თალაკვაძისა. 18) პატიოსანი, (მოხუც მასწავლებლის ნაამბობი), ილ. გოგიასი. 14) ბოტანიკა, დ-რი ვინკლერი. ფოთლების დაცვევა, კახაბერისა. 15. შინაური მიმოხილვა. 16. უცხოეთი—ამერიკული სკოლა, ვანათში ნამყოფისა. 17) სამეცნიერო მიმოხილვა, ზღვის წყალი. როგორც სამკურნალო საშუალება, 18) რუსეთი სახალხო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა, (დასასრული). 19) ფიზიკური ვარჯიშობის სარგებლობა, ბარდლასი. 20) ღია წერილი. 21) განცხადებანი.

◆ ტფილისში შეიპყრეს სოფელ ნიჩბისის (გორის მაზრა მცხოვრები ნიკოლოზ ზაქარიას ძე ხუთაშვილი, ცნობილი ქურდი, რომელიც გორში იყო გადასახლებული და ტფილისში ნებადაურთველად ჩამოვიდა.

◆ 12 ოქტომბერს ტფილისში 160 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებანი

◆ **საუკეთესო ხელოვნებათა ტფ. საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 12 ოქტომბერს მოხდა რეალურ სასწავლებლის შენობაში თ. ა. აგაპიევის თავჯდომარეობით. ეს საზოგადოება ტფილისში ახლად არსდება. კრებამ დაადგინა, საზოგადოებისთვის საკუთარი ბინა იშოვოს, სახელდობრ დაიქირავოს ოლგას ქუჩაზე მდებარე სახლი მელიქ-ბეგლიაროვისა წელიწადში 1,800 მან. დასასრულ დამტკიცებულ იქმნა ერთი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემოსავალი ნავარაუდევია 2,850 მან., ხოლო ხარჯი—4,245 მან.

◆ **ცეცხლის მქრობელ თავისუფალ საზოგადოების** გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდა, დაადგინა, მოიწვიოს 23 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში, საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. სხვათა შორის, კრებაზე განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) რაზმის ინსტრუქციის დამტკიცება, 2) საზოგადოების წევრთა მიღების წესი, 3) საკითხი რაზმის წევრთა ფორმის შემოღების შესახებ: 4) არჩევა საზოგადოების ქონების გამგისა და 5) 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

◆ **ქალაქის საბჭოს** მომავალ მორიგ კრებას, რომელიც ორშაბათს, 15 ოქტომბერს მოხდება, განსახილველი აქვს 22 საქმე.

◆ ხვალ, 15 ოქტომბერ, საღამოს 7 საათზე, ტფ. გუბერნატორის კანცელიარიის სადგომში ტფ. საგუბერნიო საფაბრიკო და მთის მრეწველობის საკრებულოს კრება მოხდება.

◆ ხვალ, 15 ოქტომბერსს, ნაშუადღევის 1 საათზე, საგუბერნიო საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოში მოხდება საგანგებო კომისიის კრება, რომელიც განიხილავს მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების გეგმას.

სასწავლებლებში.

◆ **სენაკის სათ.-აზნაურო პირველ-დაწყებით სკოლის გამგეობა** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ერთის წლით ჩააბარა იქაურსავე მასწავლებელს პოლიკ. ლო[illegible].

◆ მანთაშევის სახელობის სავაჭრო [illegible] დაადგინა, წელს სწავლის ფასისაგან 22 ღარიბესი მოწაფე **გაანთავისუფლოს.** განთავისუფლების მთხოვნელი კი ყოფილა 65.

სომხეთა ცხოვრება

◆ პარასკევს, 12 ოქტომბერს, გაიხსნა „სალიტერატურო-სამხატვრო სალონის“ სეზონი ჟურნალ „თარაზ დ აგბიურის“ რედაქტორის ტ. ნაზარიანის ბინაში. სადღესასწაულო საღამო გაიმართა სომხურ ალფავიტის 1500 წლისა და ბეჭდვითი საქმის 400 წლის შესრულების აღსანიშნავად. საღამოს შემდეგ გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება. დაესწრნენ მსახიობნი, მწერლები, მხატვრები, ჟურნალისტები და სხვ.

ბაქო

◆ **გრიშაშვილის საღამო** ნოემბრისთვის გადაიდო.

სოფლად

◆ **ტფილისის მაზრა.** ტფილისიდან ოთხი ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზის ხიდის ქვეშ იპოვეს მოკლული ტფ. მცხოვრები აბრამ კალინოვის გვამი, რომელსაც თავი გაჩეხილი ჰქონდა. ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად ენერგიული ზომებია მიღებული.

◆ სოფ. თოხლიაურის გზაზე იპოვეს გვამი მოკლულის იორ მუღანლოს მცხოვრების სარდარ-ზეინალ ოღლისა, რომელიც განთქმული იყო ქურდობით.

◆ **სიღნაღის მაზრა.** სოფ. ჯუგაანში ორი შეიარაღებული იმერელი შეუცვივდა სახლში გულბაათ კიკოლაშვილს, როდესაც ის შინ არ იყო, და მის ცოლს სოფიოს 1000 მანეთი მოსთხოვეს. როდესაც ქალმა განუცხადა, რომ შინ მხოლოდ 20 მან. აქვთ, ყაჩაღებმა წაიღეს 20 მანეთი და უბრძანეს კვლავ დაამზადონ 200 მან., რომლისათვისაც ღამით მოვლენ. ღამე დარაჯები ჩაუსაფრდნენ, მაგრამ მძარცველები აღარ მოეკარენ.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი.

ნამესტნიკის განკარგულებით ქალაქ ქუთაისის ამომრჩეველთა კრება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ამომრჩეველ რწმუნებულის ასარჩევად დანიშნულია ოქტომბრის თვრამეტს.

ქართული გიმნაზიის მოსწავლენი სამხედრო ბეგარისაგან გაანთავისუფლეს.

ჟურნალისტის დღიური

91.

ავად-მყოფი ტიპი.

მახსოვს ერთხელ ჩვენს რედაქციაში ერთი ფრიად პატივცემული პირი შემოვიდა ხელთნაწერით. მითხრა, ბიბლიოგრაფია მოვიტანეო. შვიდი თუ რვა ფურცელი იყო. მოსალოდნელი იყო, რომ წიგნი ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანად იქნებოდა განხილული, მაგრამ წაკითხვის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ თვით წიგნის შესახებ ორიოდე სიტყვა ეწერა—გამოვიდა ესა და ეს საინტერესო წიგნიო. სხვა არაფერი. დანარჩენი ნაწილი „ბიბლიოგრაფიისა კი შეეხებოდა „რომელიღაც“ უცნობ რედაქტორს, რომელიც თურმე ნიჭს ახშობდა და გასავალს არ აძლევდა. ასეთი „ბიბლიოგრაფია“, რასაკვირველია, ვერ დაიბეჭდებოდა. წინადადება მივეცით ავტორს—გამოეტოვებინა წერილიდან ის ადგილები, რომელნიც წიგნს არ შეეხებოდა. პასუხად აი რა მივიღეთ: რასა ბრძანებთ, ბატონო! მე ბიბლიოგრაფია სწორედ იმ მიზნით დავსწერე, რომ ის რედაქტორი გამელანძღა, და თუ ამასაც ამომიშლით, წერილის დაბეჭდვა რაღად მინდაო. განათლებულ ადამიანად მიიჩნია თავი, და ბიბლიოგრაფიას კი მხოლოდ იმიტომ სწერს, რომ ვიღაც რედაქტორი გამოლანძღოს. რას იტყვი, მკითხველო, განა ამისთანა ადამიანი ავად-მყოფი ტიპი არ არის?

ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე „ზაკავკაზიე“-ში დაბეჭდილმა ბ-ნ ი. კარგარეთელის წერილმა. ბ-ნი კარგარეთელი ფოცხვერაშვილის კონცერტზე სწერს და ბოლოს კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ... ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას თავად-აზნაურობამ უსათუოდ სუბ-

სიდია უნდა მოესპოს. ფორცხვერაშვილის კონცერტი სასიამოვნო მოვლენაა. დიდი მადლობა ბ-ნ ი. კარგარეთელს, რომ ეს აღნიშნა, მაგრამ ფილარმონიული საზოგადოება აქ რა შუაშია? „ალაქსანდრე მაკედონელი დიდი კაცი იყო, მაგრამ სკამებს მაინც რად ამტვრევთ?.. ძალა-უნებურად გებადება ეჭვი, რომ ბ-ნ ი. კარგარეთელს იმდენად ფორცხვერაშვილის კონცერტი არ აინტერესებს, რამდენადაც ფილარმონიულ საზოგადოების ჩაწიხვლა.

მოდი და ნუ იტყვი, რომ ამ შემთხვევაშიაც ავად-მყოფ ტიპთან გვაქვს საქმე?

გლეხის წერილი.

გაზეთ „იბერეთში“ დაბეჭდილია ლეჩხუმის გლეხთა რწმუნებული გლეხის წერილი, რომელიც უცვლელად მოგვყავს: „ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას ჩემი დღევანდელი რწმენა და მიმართულება, რადგანაც ჩემდა დაუკითხავად ზოგიერთი ვაჟბატონი, ხან ერთი პარტიის რწმუნისა და მიმართულებისად მაცხადებს, ხან მეორისა. ვინც დამიჯერებს, მოვახსენებ შემდეგს: მართალია, ხუთი-ექვსი წლის წინად თანავუგრძნობდი ერთს ჯგუფს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მე, როგორც ქართველსა და იმავე დროს კიდევ, ცოტად თუ ბევრად შეგნებულ გლეხს, აღარ შემიძლიან ვეკუთვნოდე იმ ჯგუფს, რომელიც ჩვენზე და ჩვენს ქვეყანაზე ასე ცოტად ზრუნავს, სულით და გულით თანამოაზრე ვარ იმ ჯგუფისა, რომელსაც კიტა აბაშიძე ეკუთვნის და რომლის წარმომადგენელი სათათბიროში უპირველეს ყოვლისა ჩვენს ეროვნულ საქმეს დაიცავს“.

ლეჩხუმის გლეხთა რწმუნებ. გლეხი სამსონ გაბრიელის ძე ფრუიძე.

ჩვენი ცხოვრებიდან

ეგოისტ-პესიმისტები.

ჩვენში ადამიანთა ერთი განსაკუთრებული დარგი ცოცხლობს, რომელსაც დღემდის, მგონი, სრულებით არ შეხებია ჩვენი მწერლობა: ესენი გახლავან ქართველებზე, ქართველობაზე იმედ-გადაწყვეტილი ქართველები. ეს ხალხი ყურადღების ღირსია, არა იმიტომ, რომ იმათი მორჯულება, გაადამიანება შესაძლო იყოს, არამედ იმ განზრახვით, რომ მათ ძვალ-რბილში გამჯდარი სნეულება გამოვარკვიოთ და თავიდან ავიცილოთ.

რაში გამოიხატება ეს სნეულება?

მით შეპყრობილი ადამიანი, მწარედ დაღრეჯილი, ამტკიცებს, რომ ქართველი ერი მომავლის არა მქონე ერია, ამიტომ ამ მქისე ფილოსოფოსს ერთად ერთი გზა დარჩენია: გულზე ხელები დაიკრიფოს და მწუხარედ უცქიროს, როგორ მიექანება მთელი ქართველობა გადაგვარების უფსკრულისაკენ.

როცა ესაუბრებით ამ ადამიანს, პირველად ის აზრი გებადებათ, რომ თქვენ თვალწინ დიდად ტანჯული ადამიანი დგას. იმან უთუოდ მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე შეალია ქართველი ერის ხსნას, უბედურობისაგან გადარჩენას; ბევრი იღვაწა, დიდი გულ-მოდგინება გამოიჩინა, დღე და ღამე განუწყვეტლად უვლიდა სასიკვდილოდ დასნეულებულ ეროვნებას; ათასნაირი საშუალება იხმარა იმის განსაკურნავად; და ყოველივე ამაოდ. ერი მაინც კვდება და მის მესვეურს თვალთაგან „ცრემლი სდის შეუშრობელი“.

ერთ წუთს იფიქრებთ ამას; შემდეგ კი გაიხსენებთ ამ ბედკრულ ადამიანის ცხოვრებას: რას შვრებოდა, რას აკეთებდა ეს საბრალო არსება ამ წუთისოფელში და რად ეუფლა ასეთი მწარე უიმედობა?

ის სწავლობდა: ჯერ აქ, მერე რუსეთში, ჰერე შეიძლება საზღვარგარედაც. სწავლა ხომ ერთგვარ მკურნალობისათვის მომზადებაა. ადამიანი სწავლობს უთუოდ იმიტომ, რომ ცოდნა შეიძინოს და შემდეგ, ამ ცოდნით აღჭურვილი, ჩაგრულ ხალხს გვერდში ამოუდგეს და წელში გაასწოროს. ვთქვათ — აქაური სწავლა ამისათვის საკმაო არაა, რუსეთში შეძენილიც არ აკმაყოფილებს; საზღვარ-გარედ ხომ სწავლით განთქმული ქვეყნებია. იქ შეძენილმა ცოდნამ ხომ უთუოდ უნდა დააკმაყოფილოს სწავლის მწყურვალე ადამიანი.

ამ სამ-სართულიან ცოდნით აღჭურვილი ადამიანი ბრუნდება ჩვენში და ჩვენი ერის შემყურეს, გულში იმედი უკვდება, ჩვენ საბრალო ერს მწუხარე თვალით უცქერის.

სინიდისის ქვეშ, აშკარად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ დაღრეჯილ ფილოსოფოსს არსად არაფერი არ უსწავლია თავისი თავის პატივის ცემის, თავის კერძო სიყვარულის მეტი. ის სწავლა არაფრად ფასობს, რომელიც სიყვარულს, დახმარების სურვილს არ უღვიძებს გულში ნასწავლ ადამიანს.

დაბრუნდა ამ სამსართულიანი „ცოდნის“ მქონე ადამიანი ჩვენში, არ უღვაწია, არაფერი უმოქმედნია ჩვენი ცხოვრების სარბიელზე, და ასე უდროოდ ჩვენზე იმედი გადაუწყდა.

როგორ მოხდა ეს უცნაური სასწაული? ჩემის ფიქრით აქ მხოლოდ თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი. „დიდად ნასწავლი“ ადამიანი მხოლოდ თავისი თავის სიყვარულის, თავისი ეგოიზმის ფარად ხმარობს ჩვენი ერის უიმედო მდგომარეობას. იმის უკან ამოფარებულს სურს მხოლოდ თვის საკეთილდღეოდ იცხოვროს და სხვა არაფერი. ერთის სიტყვით-გვატყუებს. პირდაპირ რცხვენია იმისი თქმა, რომ ქართველი ერი მას ფეხებზე ჰკიდია, არაფერი სურვილი არა აქვს, რომ მას რაიმე დახმარება გაუწიოს, ჩაგრული ყოფა შეუმსუბუქოს, ეს რომ სთქვას, რაღა ნასწავლი ადამიანი იქნება? ამავე დროს მას სურს პატივსაცემი ნასწავლობაც შეინარჩუნოს ჲ თავისი საქმეც გაიკეთოს, რუსები რომ იტყვიან —„უმანკოებაც დაიცავს და საკმაო თანხაც ხელთ იგდოს“.

ამისათვის კი ერთობ ლამაზი პოზიციაა — მდგომარეობა სევდიანად თვალ-მიბნედილი ადამიანისა, რომელსაც სასიკვდილოდ დასნეულებული ერის განკურნვა სწყურია და ამავე დროს იცის, რომ ეს განკურნვა შეუძლებელია.

რა სიამოვნებით დარბოდა ეს უმანკო ადამიანი საზღვარ-გარედ, სადაც „ცხოვრება სდუღს და გადადის“.

რა აღტაცებით შეჰყურებდა იგი იქაურ ფუფუნებას, ქუჩებში დიდებულ მოძრაობას. იქ მას შეეძლო მთელი თავისი არსებით დატკბარიყო ცივილიზაციის მრავალ-მხრივი ნაყოფით, ტკბილად ეგემნა ის, რის მოსაპოებლად უცხოეთის ერებს დიდი ტანჯვა უნახავთ, ბევრი სისხლი დაუღვრიათ.

უზარმაზარი შენობის კენწეროს პაწია ფანჯრიდან იგი გულის ფანცქალით თვალ-ყურს ადევნებდა უცხოეთის მრავალ-მხრივად მოფუსფუსე ცხოვრებას. რა სიამოვნებით ჩაიგდებდა იგი ხელში უცხოეთის ასპარეზზე რაიმე გამოჩენილ ადგილს, რა სწრაფად დაივიწყებდა შორეულ საქართველოს.

მაგრამ რა შეძლების მქონეა დიდებულ. უცხოეთში ჩავარდნილი პაწია ერის ყველაზე პაწია შვილი? იქ იგი თავისი სუსტი ძალ-ღონით გზას ვერ გაიკაფავს, ისევ შინ უნდა დაბრუნდეს, იმ ერს უნდა მიეკედლოს, რომელიც არ უყვარს და ეს უსიყვარულობა ქარაგმული ფილოსოფიით დაჰფაროს.

ხალხის სიყვარული რომ ჰქონოდა, იგი გაუმხელდა პაწია ერის სხეულში მომავლის ძარღვის ცემას. ეს გრძნობა წინასწარმეტყველი გრძნობაა. როგორც კერძო ადამიანი, ისე მთელი ერი მხოლოდ იმას გაუმხელს თავის სულის საუნჯეს, თავის აწმყო და მომავალ შეძლებას, ვინც მას სიყვარულით, და არა გულ ცივად მიუახლოვდება.

ილია ნაკაშიძე.

სიმღერა

ტურფა ასულო, შენი სახე კვლავ კარგა მახსოვს
და, დაკოდილსა ტრფობის სხივით, ხარკად ლოცვას მთხოვს.
დეე, შორს ვიყო, ჩემი ტრფობა გზას არ დაჰკარგავს
და სხვაგან მყოფსა კვლავ გიპოვნის, ქებით მოგქარგავს...
როს გშორდებოდი, შენა ჰგვანდი დამავალ მზესა,
თვით სევდაშიაც არ ჰკარგავდი სილამაზესა.
რა ღვთისნიერი და უმანკო იყო ის მზერა
და რა სასტიკი, რა მკაცრია ის ბედისწერა,
რომელმაც ადრე დაგვაშორა ჩვენ ერთმანეთსა
და შეახია ბრწყინვალება ჩვენს ტრფობის ღმერთსა!..
აი მე მივდევ თავგანწირვით ზღვას ცხოვრებისას
და ნუმც ვნახავდე შენგან კიდე ჟამსა შვებისას!
ასტყდეს გრიგალი, ჩემი გემი მილეწ-მოლეწოს,
თუნდ მიმცეს უფსკრულს, თუნდ გამრიყოს, შორს გარდამხვეწოს;
უმიზნო მგზავრი შთანმთქას გრგვინვით, მაქციოს მტვრად მე,
ოღონდ წავიდე, დავიკარგო აქედან სადმე.

—

შენი ღრმა თვალი ცრემლიანად იღიმებოდა...
ცხოვრების გრგვინვა ჯერ მაშინ ყრმას არ შეგხებოდა.
ქვეყანას შენი სიყმაწვილე ენატრებოდა
და, ვით მზის მზირალს ყვავილნარ ველს—ეღიმებოდა...
ნეტა ვიცოდე, მშვენიერო, კვლავ ისეთი ხარ?
კვლავ ციურ ნიჭთა გამომხატველ სიწმინდეთ ზიხარ,
თუ მოაცალეს შენს ნორჩს სულსა წმინდა გვირგვინი
და ჰმონებს ბინძურთ ჩემი ლოცვა, ჩემი ღიღინი?!

—

ვინც შენა გნახოს, სიყვარულის ცეცხლში ჩავარდეს,
ვინც იცის ტრფობა, იმას უფრო ღრმად შეუყვარდეს!
როდესაც გნახე ალვაპყარი თვალი ცისაკენ:—
ნაბიჯი არის სიყვარული სამოთხისაკენ!
ბედკრულსა ყრმასა შენი ტრფობა გზას მინათებდეს,
ქვიშნარ უდაბნოს მწვანე ველად ამიყვავებდეს;
შენი ღიმილი გზის სიმკაცრეს მოარბილებდეს
და უბედურ დღეს დაჰფარავდეს, მომაცილებდეს.
სულ შორს, შორს წავალ, მაგრამ მარად შენთან ვიქნები:—
შენ შემოგწირე უძილობის წმინდა ფიქრები!

—

როდესაც სდუმან მოწყენილად მიწაც და ცაცა,
როს ფიქრობს ღამის შავს საბანში მრისხანე ზღვაცა,
აღარ გაისმის ცა და ქვეყნად შფოთვა, წუხილი,
ქვეყანას ჰხურავს მოსვენების ტკბილი დუმილი;
როს მთა და ველად ყვავილებზე სუნთქავს სიამე
და ვარსკვლავების მშვიდ ციმციმში მისცურავს ღამე—
შენსკენ ჰფრენს ფიქრად მწუხარებით აღსავსე გული;
ტანჯვას მიქარვებს შენი ხსოვნა და სიყვარული...
საც უნდა მოვკვდე მე უმიზნოდ ლტოლვილი ქვეყნად:
ამურის პირად, თუ ნილოსის ქვიშიან ველად—
შენი სახელი მომევლინოს სიკვდილის მხსნელად,
შენი სახელი, მშვენიერო, მექმნება მცველად!

8 ოქტომბერი 1912 წ.

ი. მჭედლიშვილი.

კახელ მევენახეთა საყურადღებოდ.

თანდათან ცხოვრების გაძნელებამ და ამ ბოლო წლების სისტემატიურმა მოსავლობამ კახელი მემამულე ცოტა არ იყოს შეახმაურა. მეტადრე ვენახების ულმობელ მტერმა ფილოქსერამ (თელავში). იგი ძრიელ შეაფიქრიანა, მაგრამ საზოგადოებრივ აზროვნებას და თავის დაცვას მიუჩვეველი კახელი ადგილობრივ ბობოქრობს და თავის უკმაყოფილებისთვის გამორკვეული ელფერი ვერ მიუცია.

კახეთის ერთ-ერთ მოუწელებელ ჭირს — სირაჯების თავგასულობა შეადგენს, როგორც გნებავთ ისე განსაჯეთ—აქაური საწყაო საპალნე წინეთ 30 ჩაფით იყიდებოდა, მაგრამ სირაჯებმა იმდენი უმატეს თითო-თითო ჩაფი ეგრედ წოდებულ „დასასხმელი“-ს სახელით, რომ ეხლა ხშირად შეხვდებით 34 ჩაფითაც იყიდებოდეს და „ჭაშნიკი“, „საცხონებელი“ და „ღარძლა“ ხომ სხვა არის. ამ ბოლო დროს კი თელავის მაზრის უფროსმა, შეწუხებულ მემამულეთაგან აღძრულ შუამდგომლობის თანახმად გასცა განკარგულება, რომელიც ზღუდავს სირაჯების თავგასულობას. სიღნაღის მაზრაშიაც ზოგიერთ სოფლებში ბევრი მითქმა-მოთქმაა პირის შეკვრაზე, მაგალითად სოფ. ახაშნის მემამულეთა ჯგუფმა შუამდგომლობაც კი აღძრა სიღნაღის მაზრის უფროსის წინაშე ამგვარ განკარგულების მოხდენის შესახებ და იმედიცა გვაქვს, რომ დაკმაყოფილებული იქმნება ეს შუამდგომლობა.

ყველას და ყოველიფრის მორჩილებას შეჩვეულმა კახელმა ამაზე მტკიცე თავის დაცვის საშუალება ვერ გამონახა.—და ეს საშუალება კი ძრიელ სუსტია—მით უმეტეს, რომ გაპირვებული ხალხის შეკავება ძნელია; როცა უჭირს ყოველივე განკარგულების მიუხედავად არამც თუ 34 ჩაფით იქნებ 40 ჩაფითაც გაჰყიდოს საპალნე და ამ შემთხვევაში მეტად ხელმოკლე უფრო ზარალშია. ამას გარდა იმდენი უხილავი ხიფათი სდევს სირაჯისგან რაიმე საწყაოთი აწყულ ღვინოს, რომ უეჭველად მემამულე მუდამ მოტყუებული რჩება. თუ მართლა სურვილი აქვს ჩვენს მემამულეს ცოტათი მაინც თავის დაცვისა მოტყუებისაგან, აუცილებლივ საჭიროა სრულიად თავი დაანებოს ღვინის აწყვას (რაც, სხვათა შორის, მარტო ქართლ-კახეთში და იხმარება) და დააწესოს მისი **წონით გაყიდვა**, რაც ბევრად მარტივიცაა აწყვაზე და არც წვალება და მოტყუება სდევს თანა. კერძო თათბირში ბევრი წინააღმდეგია წონით ვაჭრობისა იმ მოსაზრებით, ვითომც ძნელია მუდამ სასწორის შოვნა-თრევა როცა საჭიროა, მაგრამ ეს დაბრკოლება ძლიერ ადვილად დაიძლევა. ჯერ ერთი — რომ წელიწადში მარტო ერთხელ ჰყიდის მემამულე ღვინოს და ისიც არას დროს არ მოხდება ხოლმე რომ ერთ სოფელში ერთ და იმავე დროს ბევრგან იღებდნენ ღვინოს ე. ი. საკმარისია ერთ სოფელში რამდენიმე სასწორი რასაც ზოგიერთი მემამულე მუდამ შეიძენს და სხვებს აქირავებს, როგორც ეხლა ევროპიული საქაჩავი და ამოსაღები მანქანა (პომპა) დააქვთ მარნიდამ მარანში.

ამ შემთხვევაში ბევრ სხვა უპირატესობასთან ის უპირატესობაც აქვს წონით გაყიდვას რომ შესაძლებელი ხდება პომპით ამოღება ღვინისა რაც არც იპარავს ღვინოს და სწრაფიც არის.

მხოლოდ ცოტა საძნელოა ამისა დაწესება-შემოღება და ყველასათვის სავალდებულოდ ხდა არის—მეტადრე არსებულ პირობებში ერთ-მეორისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია თუმცა იმედი კი მაქვს, რომ ამ აზრის განხორციელებას ბევრი მომხრე ეყოლება. ჩემის აზრით ამის მოწესრიგება შეუძლიან და ვალდებულიც არის ქართველ სამეურნეო საზოგადოების გამგეობაც, რომელიც ამით მაინც აღნიშნავს კახეთში თავის არსებობას. ამასთან მიუთითებ კიდეც სამ საშუალებაზე მიზნის მისაღწევად. პირველ და უმჯობეს საშუალებად მიმაჩნია სოფლების მიერ არჩეულ წარმომადგენლების და დაინტერესებულ მსურველთა კრების მოხდენა კახეთის შუაგულში. თუ ეს შეუძლებელი ან ძნელად მოსახერხებელი იქნება, მაშინ შეიძლება ყველა სოფლებში განსაკუთრებულად დამზადებული ფურცლები დაიგზავნოს საპასუხოდ და ხელის-მოსაწერად. უკანასკნელ შემთხვევაში კი ისიც ურიგო არ იქნება, თუ ქართული სამეურნეო საზოგადოება კერძო თაოსნობით მაინც აღძრავს დასაბუთებულ შუამდგომლობას მთავრობის წინაშე ღვინის წონით გაყიდვის თაობაზე კახეთში. მხოლოდ ამ გარემოებას ღირსეული ყურადღება უნდა მიექცეს და რაც შეიძლება მალე.

გ. წინამძღვრიშვილი.

კახეთის რკინის გზის სააქციონერ. საზოგადოება ჲ ჩვენი მონაწილეობა ამ საქმეში

(წერილი რედაქციის მიმართ).

კახეთში რკინის გზის გაყვანა, თუ ერთის მხრით ისეთი დიდი ისტორიული მოვლენაა, რომელსაც შეუძლიან ხელი შეუწყოს მთელ კახეთის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების ზრდასა და განვითარებას, მეორე მხრით იგი ყურადღების ღირსია ჲ მნიშვნელოვანია, როგორც საკომერციო საქმე, როგორც ნივთიერად სასარგებლო დაწესებულება.

თალიკო

(ეტიუდი.)

საბრალო თალიკო!..

მთელი ღამეები ისე გაათენა, რომ ოდნავაც არ მოუხუჭნია თვალი...

უზომო მწუხარებით გაგულმკვდარებული იჯდა ავადმყოფის სარეცელთან და მილეული თვალებით დასცქეროდა სანთლივით გაყვითლებულ სახეს...

თვითეული კვნესა ავადმყოფისა თალიკოს გულს ნემსივითა ხვდებოდა, მწვავე ტკივილებს უძრავდა...

— ოოჰ, ოოოჰ! —მოესმა საცოდავის ოხვრა და, ისარ ნატყორცნივით, ზეზე წამოიჭრა.

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა, დედა გენაცვალოს, რა?—ელოლიავებოდა თალიკო და ცოდვით თვალები ცრემლით ევსებოდა...

— დედა! დაღამდა? —მისუსტებული ხმით იკითხა ავადმყოფმა.

— არა, შვილო!.. ჯერ ისევ ნათელია!..

— ნათელი?—რაღაც საიდუმლო მნიშვნელობით გაიმეორა, თითქოს ავადმყოფის ბაგით სასოწარკვეთილებამ დაილაპარაკაო...

— გინდა მალე დაღამდეს, დედა გენაცვალოს?!..

— არა, არა!..

— მაშ, რისთვისა მკითხე?..

— ისე...

— ხომ არა გინდა რა?

— არაფერი...

— მაშ, დაიძინე შვილო, დაიძინე... იქნება ძილში მაინც დაგიამდეს ტკივილები და კარგად გახდე.

— მართლაა, დედა?!

— მართალს გეუბნები, შენ გენაცვალოს დედა შენი, მართალს!..

— რომ არ მეძინება?

— როგორც იყოს... დამშვიდდი, ნურაფერს იჯავრებ და დაგეძინება!..

— დედა ჩემო!

— რაა შვილო?..

— რაღაც ცუდ სიზმრებში ვარ... სულ მკვდრებსა ვხედავ...

— ეგ არაფერია, შვილო! ავადმყოფს ყოველთვის ცუდი რამ ეზმანება, რაც სიცხადეში კარგს ამბავს მოასწავებს.

— ხოოო?

— ხო, თავს შემოგევლე, ხო!... დაიძინე!..

ორივენი გაჩუმდნენ...

ავადმყოფს თვალები მიეხუჭა...

ჩაეძინა...

თალიკო თითის ფრჩხილებზე ფრთხილად წამოდგა, ავადმყოფ პირმშოს სამჯერ პირჯვარი გადასწერა, ფეხ-აკრეფით მივიდა ხატთან და სანთელი აანთო...

—

კვირაძალ იწყებოდა...

ზარების ნელი რეკა, გლოვის ხმასავით ეფინებოდა დამწუხრებულთა გულ-გონებას...

საჭირისუფლო ოთახში ღამის სიბნელე ქურდულად იპარებოდა...

— ვაიმე, დედავ?!—მოულოდნელად წამოიკივლა ავადმყოფმა და შეშლილივით თავლებ ამღვრეული ქვეშაგებიდან ზეზე წამოვარდა...

ელდა ნაცემი თალიკო, გულგახეთქილი მივარდა ავადმყოფის საწოლს...

— გამიშვით!.. გამიშვით!!.-თავ-გადაკვლით კიოდა და კარებისაკენ იწევდა გასაქცევად.

— შვილო!.. შვილო!.. დედა გენაცვალოს, შვილო!... რა იყო, რა მოგივიდა?! — გადაფითრებული სახით ეკითხებოდა თალიკო და აკანკალებულის ხელებით მკერდში მაგრად იკრავდა.

— მიშველე, დედავ!.. მახრჩობენ!..

— ვინ გახრჩობს, შვილო, ვინ?!

— აი, ის, დედაჩემო!.. აი, ის... ნუ თუ ვერა ჰხედავ?!.. ვაიმე. მოდის...

— გონს მოდი, შვილო... აბა, ვინ უნდა იყოს ამ ოთახში... დამშვიდდი, შენი ჭირიმე, დამშვიდდი...

— არსად არ წახვიდე დედილოჯან... არსად არ წახვიდე...

— შენთანა ვარ, შვილო, შენთან!.. სად უნდა წავიდე... დაწყნარდი...

— რა ვქნა, რა ვუყო... მეშინიან, დედა, გესმის?—მეშინიან...

— ნუ გეშინიან, ნუ, ჩემო სიცოცხლევ... დაწექი...

—

— დაღამდაა?—ხელმეორედ იკითხა მცირე ხნის შემდეგ მოსულიერებულმა ავადმყოფმა და თვალები ჭერს მიაპყრო.

— ხო, შვილო, დაღამდა.

— აღარ გათენდება?

— მაგას რას ამბობ, შვილო!..—შეშინებით მიუგო თალიკომ—როგორ არ გათენდება... გათენდება, უეჭველად გათენდება...

— გათენდება! უეჭველად გათენდება!—მძიმედ და ყრუდ გაიმეორა ავადმყოფმა და თვალები დახუჭა...

ოთახში ისევ მყუდროობამ დაისადგურა, სენაკის მსგავსმა მყუდროებამ...

შუა ღამე გადასული იყო...

გარედან შემოჭრილ ქარის სევდიანი სისინი უბედურების მაუწყებელ ხმასავით მოესმოდა საცოდავ თალიკოს...

იგი წამოდგა...

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა...

თავი ჩაიქნია და შეჩერდა...

ხატის წინ დანთებული წმინდა სანთელი დედის ცრემლივით იღვენთებოდა...

რაც უფრო ილეოდა სანთელი, იმდენად უფრო მეტი შუქი ემატებოდა...

იდგა თალიკო ნახევრად გამოღებულ პატარა ფანჯარასთან და რაღაც არა ჩვეულებრივის სულის ღელვა მოძრაობით გაჰყურებდა უმთვარო ბნელ სივრცეს, თითქოს ვინმე შეუვარდებოდა და მოსტაცებდა, მოსტაცებდა საყვარელ შვილს, რომელსაც ისე მზრუნველობით, ისე ალერსით დაჰკანკალებდა თავს...

— სიცოცხლე!.. სიყვარული!.. ნუ თუ ყველაფერი გაჰქრება, ყველაფერი მოისპობა!.. ოხ, ღმერთო ღმერთო!.. რა დაგიშავე, რა? რისთვისა მტაცებ ჩემს ერთად ერთ შვილს, ჩემს ბიჭიკოს, რისთვის?!. სასოწარკვეთილებით მიჰმართავდა გამწარებული დედა ზენაარს, მაგრამ მეუფეცისა პასუხს არ აძლევდა...

ვინ იცის რაოდენ უბედურთა კვნესა გოდება წარუღია ქარს უდაბნოში დასამარხავად...

ვინ იცის!..

— დედა!.. გათენდააა?

— არა, შვილო, ჯერ ისევ ბნელა...

— ოოოჰჰ!—სნეულ გულის სიღრმიდან ამოიგმინა ავადმყოფმა და თავი უღონოდ გადიქნია.

იწვებოდა და დნებოდა სანთელი...

ილეოდა და ჰქრებოდა მომაკვდავიც...

ღამეების თევითა და ძალდატანებული სიფხიზლით გატეხილი თალიკო აჩრდილის ჩონჩხის სანახაობას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ადამიანის არსებას...

ნახევრად ხილულ თვალებით იჯდა შვილის საწოლთან და სულ-განაბული, ხმა გაკმენდილი ყურს უგდებდა მის სულთქმას...

— დედა ჩემო!.. არა თენდება?

— არა შვილო! ჯერ არა!—უპასუხა გულ-შეფთხრიალებულმა დედამ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა...

სანთელმა ტკაცა-ტკუცი დაიწყო...

პატრუქი აპრიალდა...

ჩაჰქრა...

კიდევ აანთო...

ჰარაქათ გამოლეულმა თალიკომ თავი დაბლა ჩაჰღუნა...

თვალები მიელულა...

ძილმა წასძლია...

—

— დედა... თენდებაა?—სამარის ხმით გაისმოდა ერთი და იგივე შეკითხვა...

— არ გათ...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაილუღლუღა გულ - შემოყრილმა თალიკომ და თვალები უეცრივ დაჭყიტა...

— დე...და... გა...თენ...დაა...—უაზროდ-ღა იმეორებდა კითხვას და სულთმობრძავ თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, თითქოს უკანასკნელად ათვალიერებს ყველაფერს, რომ სამუდამოდ დახუჭოს და აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ გაახილოსო.

იგრძნო ეს საცოდავმა დედამ, იგრძნო და ვეღარა უპასუხა რა...

დაგუბებული ბოღმა ყელში ებჯინებოდა, აღრჩობდა...

ჰაერი აღარა ჰყოფნიდა...

სული ეკმეოდა...

მივიდა ცრემლიანი თვალებით დაჰხედა მომაკვდავ შვილის თვალებს და ზარდაცემული ტირილ-ქვითინით დაემხო ხატის წინაშე.

— ღვთის მშობელო!.. დედაო ღვთის მშობელო... ნუ გამწირავ... შემიბრალე... მაჩუქე ჩემი შვილი... ჩემი ერთად ერთი ნუგეში, ჩემი ბიჭიკო... გევედრები... ღვთის მშობელო... შენც ხომ დედა ხარ ყრმა იესოსი... შენც ხომ გიყვარს იგი.., მაშ ნურც მე წამართმევ ჩემს პირმშოს, ჩემს სიცოცხლეს... მომხედე ღმერთო... შენ ხომ კეთილი ხარ... სათნო... კაცთ მოყვარე... ისმინე!... ისმინე!...

— დეეე... დაააა... მაშ...ვე....

— გესმის?. ღვთის მშობელო!.. შენ მოგმართავს ჩემი შვილი!.. უშველე!.. იხსენი!..—საზარელი, გულღვიძლის დამფლეთი მუდარებით მიჰმართავდა მშობელი მშობელს მაგრამ, ამაოდ...

ის უკვე გარდაიცვალა...

გ. ქურიშვილი.

და, აი, მე მინდა ახლა სწორედ ის მოგახსენოთ, თუ რით არის კახეთის რკინის გზა საფინანსო დაწესებულება.

ამ ბოლოს დროს მთავრობა ხელს უწყობს კერძო თაოსნობას რკინის გზების საქმეში და ამისთვის 10 ივნისს 1905 წ. განსაკუთრებული კანონი გამოაქვეყნა. ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ, რუსეთის სხვა და სხვა მხარეს ბევრი ახალი სააქციონერო საზოგადოება დაარსდა რკინის გზის გასაყვანად და ყველა ამ ამხანაგობის სურვილია, როგორც ის, რომ გაიყვანოს ესა თუ ის რკინის გზა, ისე ისიცა, რომ ჰმართოს და განაგოს ამ რკინის გზის საქმეები და ისარგებლოს მთელ იმ ხანს, რომელიც მთავრობისაგან არის დაწესებული, ე. ი. 81 წლის განმავლობაში.

ამავე კანონისა და სარკინის-გზო სააქციონერო საზოგადოებათა ნორმალურ წესდების ძალით, მთელი ბედიღბალი რკინის გზისა, როგორც საკომერციო დაწესებულებისა, წევრთა საზოგადო კრებაზეა დამოკიდებული; ხოლო ეს იმას ჰნიშნავს, რომ ყველა წევრი სააქციონერო საზოგადოებისა, თუ ერთი ან რამდენიმე აქცია ექნება შეძენილი, სრულუფლებიანი წევრია საზოგადო კრებისა.

იმავე 10 ივნისის 1905 წ., კანონის თანახმად, მთავრობა, თითოეულ შემთხვევაში კერძოდ, უზრუნველჰყოფს სააქციონერო ამხანაგობის მიერ გამოცემულ ფასიან ქაღალდების სარგებელს, მაგრამ ამასთანავე თვით სააქციონერო საზოგადოებას განსაზღვრულ გარემოებაში აყენებს ამ ფასიან ქაღალდების (აქციების და ობლიგაციების) გამოცემისა და განაღდების შესახებ და ეს გარემოება ყოველთვის იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ჯდება გზის გაყვანა და რამდენი იქნება ამ გზის შემოსავალი.

ამ მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სარგებლიან ქაღალდების (აქციებისა და ობლიგაციების) გაყიდვით გროვდება ის თანხა, რომელიც გზის გასაყვანად დ მოძრაობაში მოსაყვანად იხარჯება.

ამნაირად, ვინც აქციას შეიძენს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს და გარდამწყვეტი ხმა ჰქონდეს სააქციონერო საზოგადოების საზოგადო კრებაზე და თუ მთლად, აქციების (ხმების) ნახევარზე მეტი, ვსთქვათ, ხელში გვექნება, ჩვენ ვიქნებით სააქციონერო საზოგადოების საკომერციო საქმეების ბატონ-პატრონნი, ძისი სულის-ჩამდგმელნი, მისი ხელმძღვანელნი მთელის 81 წლის განმავლობაში.

მე წარმოგიდგინეთ მარტივნი ცნობანი სარკინიგზო სააქციონერო საზოგადოების წესდებისა. ახლა შევეხოთ ჩვენის საქმის დღევანდელ ვითარებას.

უკვე მოგეხსენებათ, რომ უფლება კახეთის რკინის გზის გაყვანისა და ექსპლოატაციისა და აგრედვე ამ საქმისათვის სააქციონერო საზოგადოების დაარსებისა, უმაღლესად დამტკიცებულ წესდების თანახმად, მთავრობამ ჩვენ[illegible] თავ.-აზნაურობის წარმომადგენლებს მიანიჭა. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ საქმის განსახორციელებლად თავ.-აზნაურობის წარმომადგენელნი, მინისტრის ნებართვით, პირობით შეეკვრნენ რუსეთ-აზიის ბანკის გამგეობას. ხოლო ისიც უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ბანკების და უხმარებლად, მერე ისიც ისეთის ბანკების დაუხმარებლად, რომელნიც თვითონ მთავრობას არ გამოუცდია ასეთ საქმეში, არც ერთი რკინის გზის საქმე არ გაკეთებულა და არც გაკეთდება.

ამ ხელშეკრულებაში წითელი ზოლივით მიჰყვება ის ძირითადი აზრი, რომ თავ.-აზნაურობა, როგორც აქციონერი, რაკი დაიტოვა უფლება აქციების მეტის წილის შეძენისა, ითვლება მთელ საექსპლოატაციო ვადის განმავლობაში კახეთის რკინის გზის ბედ-იღბლის გამგედ. მართალია, ეგ უფლება ხელშეკრულებაში ცალკე მუხლად არ არის აღნიშნული და ესაა იმის მიზეზიც, რომ ბევრს სხვანაირად ესმის ხელშეკრულების დედა-აზრი,—მაგრამ ეს მაინც იმას არ ჰნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვსდუმდეთ და მთელი საქმე სხვას უბრძოლველად ხელში ჩაუგდოთ.

ამიტომ მე, მხოლოდ და მხოლოდ საქმის კეთილდღეობით დაინტერესებული, მოგაგონებთ, რომ მალე, ამ თვის გასულს, ანუ ნოემბრის დამდეგს, პეტერბურგში კახეთის რკინის გზის აქციონერთა საზოგადო კრება უნდა მოჰხდეს. ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს (თუმცა ეგ გადაწყვეტილება საბოლოოდ ხელშეუვალი კი არ იქნება), რომ შეუერთდეს სიღნაღიდან ბაქომდე განზრახული რკინის გზა უკვე დამტკიცებულ კახეთის რკინის გზასა, რომლის მოთავენი და ხელმძღვანელნი ჩვენ ვიყავით და ჩვენვე უნდა დავრჩეთ.

როცა ტფ. თავ.-აზნაურობის წარმომადგენელნი ანაღდებდნენ კონცესიას იმ პირობით, რომ გზის მუშაობის დაწყებამდე აეღოთ 400 ათასი მან. (1.800 ათას მანეთიდან) აქციები და მუშაობის გათავების შემდეგ კიდევ 550 ათას მანეთისა, ცხადია, იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ მთელი საექსპლოატაციო ვადის, ე. ი. 81 წლის განმავლობაში, ამ გზის სრული პატრონი ჩვენ ვყოფილიყავით.

თუ ჩვენი კონტრაგენტი, რუსეთ-აზიის ბანკი, საქმის შემთხვევითი და დროებითი პატრონი (სულ სამი წლის, ე. ი. მუშაობის გათავებამდის), დაინტერესებულია მხოლოდ აქციების ხელოვნურად გაძვირებით, რათა, რაც შეიძლება, უფრო ხელსაყრელ ფასად გაასაღოს თუ ბანკს სრულებით არ აინტერესებს ექსპლოატაცია გზისა, რაიცა დაამტკიცა რკინის გზების გაყვანის დიდი ხნის პრაქტიკამ, მით უფრო ეგ ექსპლოატაცია უნდა აინტერესებდეს მეორე მხარეს, მეორე ჯგუფს აქციონერებისას, ამ შემთხვევაში ჩვენ და სწორედ ამიტომ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ—და ისიც დაუყოვნებლივ,—რომ ჩვენი 950 ათასი მანეთის აქციები არ გაითქვიფოს 5$^1/_2$ მილიონ მანეთის აქციებში (რაიცა მოჰხდება, თუ მართლა განხორციელდა კახეთის და სიღნაღ-ბაქოს გზების საზოგადოებათა შეერთება) და ჩვენვე დავრჩეთ კახეთის გზის პატრონებად, როგორც იმ თავითვე იყო განზრახული და რაც საფუძვლად დაედო ჩვენს რუსეთ-აზიის ბანკთან ხელშეკრულებას.

რაკი ჩვენს უფლებას ვიცავთ, ზოგნი მოუფიქრებლად იმ აზრს გვახვევენ თავზე, თითქოს ჩვენ სიღნაღ-ბაქოს გზის წინააღმდეგნი ვიყვნეთ.

არა, ათასჯერ არა!

პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, სიღნაღ-ბაქოს შუა რკინის გზა უსათუოდ უნდა გაკეთდეს და, რაც ადრე განხორციელდება ეს აზრი, მით უკეთესი იქნება.

ეგ მშვენიერი აზრი ბაქოელ კაპიტალისტების ერთს ჯგუფს, რომელსაც ყოფილი მინისტრი ვაჭრობა-მრეწველობისა მ. მ. ფედოროვი მეთაურობდა, კახეთის გზის გარეშე და სრულიად დამოუკიდებლად მოუვიდა ფიქრად და ასევე დამოუკიდებლად პროექტად გადაქცეული შეიწყნარა ფინანსთა სამინისტროს ახალ რკინის გზების დეპარტამენტმა, ე. ი. პირველ ინსტანციამ. ბაქოელ კაპიტალისტებმა, პრინციპიალურ თანხმობის მიღების შემდეგ, აღარ მოისურვეს შემდეგს ინსტანციებში ამ [illegible] წინ გასძღოლოდნენ და ეს პროექტი ამ წლის აპრილში პეტერბურგის სავაჭრო-სამრეწველო ბანკს მიჰყიდეს. ამნაირად ბაქოელი კაპიტალისტები სრულიად ჩამოსცილდნენ სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის საქმეს და თავისთვის მხოლოდ უფლება დაიტოვეს განზრახულის გზის აქციების 45$^0/_0$ შეძენისა.

სავაჭრო-სამრეწველო ბანკმა, იმის მაგიერ, რომ ეს ახლად დაწყებული და ნორჩი საქმე თვითონ გაეჩარხა და დაემთავრებინა, გადასწყვიტა პროექტი სიღნაღ-ბაქოს გზისა (426 ვერსი) კახეთის გზისთვის (163 ვერსი) მიეტმასნებინა და ამ სახით საქმე გაეფართოვებინა, გაედიდებინა. ამ აზრის განსახორციელებლად სავაჭრო-სამრეწველო ბანკს განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე კახეთის რკინის გზის სააქციონერო საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა, თუმცა ეს ცვლილება ერთი-სამად ადიდებს როგორც სააქციონერო, ისე საობლიგაციო თანხას. ეს თუ ასრულდა, ტფ. თავად-აზნაურობა თავის 400 ათას მანეთის და, თუ გნებავთ 950 ათას მანეთის აქციების მაჩანჩალად გადაიქცევა იმ დიდ საქმეში და აღარავითარი იმედი-კი აღარ უნდა გვქონდეს, რომ იმ დიდ საქმეში მთლად აქციების ნახევარს შევიძენთ და ბატონ-პატრონობას ხელიდან არ გაუშვებთ.

საქმე ის არის, რომ ჩვენმა კონტრ-აგენტმა, რუსეთ-აზიის ბანკმა, ნაწილი კახეთის რკინის გზის თანხებისა პეტერბურგის სავაჭრო-სამრეწველო ბანკს გაანაღდებინა და ამიტომ ამ ბანკისა და რუსეთ-აზიის ბანკის ხელში იქნება, სანამ გზის კეთება გათავდებოდეს, კახეთის რკინის გზის საზოგადოების აქციათა უმეტესი ხმა, თუმცა ჩვენს ერთადერთ კონტრ-აგენტად და ჩვენდა წინაშე პასუხისმგებლად ამ ხნის (3 წლის) განმავლობაში იგივე რუსეთ-აზიის ბანკი რჩება.

ამნაირად, სავაჭრო-სამრეწველო ბანკი აქციების ფასის აწევით არის დაინტერესებული, აქციების განაღდების დროს უნდა, რაც შეიძლება, მეტი მოიგოს; საქმის სხვა კერძოობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, დაურიდებლად სარგებლობს იმით, რომ შემთხვევითა და დროებით მისკენ არის ხმის უმეტესობა და ძირიანად სპობს იმ დედა-აზრს ჩვენის რუსეთ-აზიის ბანკთან ხელშეკრულებისას, რომლის თანახმად ტფილისის თავ.-აზნაურობა, კახეთის რკინის გზაზე მიმოსვლის დაწყებისათანავე, აქციების უმეტეს ნაწილის პატრონი ჰხდება; იგი ბანკი სიღნაღ-ბაქოს გზისათვის განსაკუთრებულ წესდების ნებართვის აღებისათვის კი არ ფიქრობს, ჩვენის, კახეთის რკინის გზის, წესდების მუხლების შეცვლა უნდა გამოითხოვოს მთავრობისაგან და ამნაირად კახეთის რკინის გზის სააქციონერო თანხა 1.800 ათას მანეთი 5.700 ათას მანათად გადააქციოს, ხოლო საობლიგაციო თანხა 13 მილ. მაგივრად—47 მილიონად.

ასეთი კომბინაცია სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა ჯერ იმ საზოგადო კრებამ უნდა დაამტკიცოს, რომელიც, როგორც ზემოდ ვსთქვით, ამ ოქტომბრის გასულს თუ ნოემბერში, მოხდება და მერე გადაეცემა ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტს და ბოლოს უმაღლესად დასამტკიცებლად გაიგზავნება.

ახლა ვიკითხოთ, ვინ უშლის ან მეთაურებს სიღნაღ-ბაქოს გზისას, ბაქოელ კაპიტალისტებს, ან სავაჭრო-სამრეწველო ბანკს, რომელსაც მიჰყიდეს ინიციატორებმა თავისი დაუმუშავებელი პროექტი, დამოუკიდებლად იმოქმედონ ყველა ინსტანციამ და კონცესიაც დამოუკიდებლად აიღონ, თანახმად თავის სურვილისა და გემოვნებისა, და ამ კახეთის-რკინის გზის სააქციონერო საზოგადოებას არ აეკვიატონ?!

ამიტომ ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ჩავერიოთ ამ საქმეში, აქციონერთა მომავალ კრებას ჩვენი დასაბუთებული აზრი ხელშეკრულობაში აღთქმულ ჩვენ უფლებისა და უპირატესობის დასაცავად წარუდგინოთ, რომ საქმე ჩვენს და სასურველად დაბოლოვდეს.

მართალია, კახეთის რკინის გზის აქციონერთა კრებაზე ტფილისის თავად-აზნაურობა ჯერჯერობით უმცირესობას წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც ისეთი აქციონერია, რომელსაც თვალსაჩინო ნაწ[illegible] აქციებისა [illegible] ხელში და ამიტომ შეუძლიან შეინარჩუნოს, და უსათუოდაც უნდა შეინარჩუნოს, თავისი უფლება და გააბათილოს ბანკების განზრახვა ჩვენის უფლების უდიერად გათელვისა.

რათა? რათა და იმიტომ, რომ, ჩემის ღრმა რწმენით, კახეთის რკინის გზის სააქციონერო საზოგადოება ისეთი საფინანსო დაწესებულებაა, რომელიც, თუ პირველში არა, შემდეგ მაინც უეჭველად ყოველ-წლივ შემოიტანს მოგებას და ეს მოგება იმ ჩვენ საქმეს მოხმარდება, რა საქმეც საჭიროდ იქნება დანახული ჩვენი სააქციონეროს საზოგადოებისაგან.

და ნუ თუ ეს ძვირფასი უფლება ხელიდან გასაშვებია?

დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

ჩვენი თეატრი

(ფიქრები სეზონის წინ)

ჩვენი თეატრის კრიზისზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ჩვენი მამული შვილები თავსაც არ იტკივებენ და ამ სავალალო მოვლენას არავითარ ანგარიშს არ უწევენ; ჩვენი თეატრი თითო-ოროლა პირის დახმარებითა და სულის ჩადგმით ბოგინობს, ქართული თეატრისადმი ინტერესი ბუნებრივი არ არის, მას ჩვენ ხელოვნურად ვქმნით. ამ გვარი „ძალა“ უსაფუძვლოა და წარმავალი. რად განიცდის ჩვენი თეატრი ასეთ კრიზისს? მე მგონია ამის მიზეზი მის ჩამორჩენაში უნდა ვეძიოთ; ქართული სცენა დღეს იმ საფეხურზე იმყოფება, რომელზედაც გასულ საუკუნის პირველ ნახევარში იდგა საფრანგეთის თეატრი, როცა მასში რომანტიზმი გამეფდა ალექსანდრე დიუმას, (მამა) ვიქტორ ჰიუგოსა და ალფრედ დე მიუსსეს მეოხებით.

რა თქმა უნდა, დღესაც არა გვყავს ასეთი ნიჭიერი დრამატურგები და არც ისეთი მსახიობნი, როგორიც იყო ამ ხანებში ქ-ნი რაშელი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენი თეატრის გემოვნება იმ დროისას უდრის და იმგვარადვე პრიმიტიულია.

მაგრამ ჩვენ არც ისე დახშულნი ვართ, რომ სხვა ერთა წინსვლის ხმამ მაინც არ მოატანოს ჩვენამდე; თუნდაც რუსეთი ავიღოთ. მოსკოვის სამხატვრო თეატრს ვერ უწევენ მეტოქეობას ვერც რეინგარდტის თეატრი ბერლინში და ვერც „ხელოვნების“ თეატრი პარიზში. თუ ბევრს არ უნახავს „სამხატიროელები“ და მათი თამაშით არ დამტკბარა, წაუკითხავს და გაუგონია მაინც, მისი პრინციპები უცხოა და ალლო აუღია, სამხატვრო თეატრმა მთელი სკოლა შექმნა. როგორც სხვა და სხვა ქალაქებში, აგრედვე სხვა და სხვა ერებში და მას, ვისაც რაიმე კავშირი და დამოკიდებულება ჰქონია ამ სკოლის მიმდევრებთან პირდაპირ განცვიფრებაში მოიყვანს ჩვენი თეატრის მდგომარეობა; იგი ჰხედავს, რომ ყალბად ცნობილი და დაგმობილი, ჩვენში ძველებურად ფარფაშობს და ვითარდება, თითქოს ჩვენი ერი მოწყვეტილ კუნძულზე ცხოვრობდეს და დროთა ბრუნვის ვითარების ამბები ამ კუნძულამდე ვერ აღწევდეს. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი ქართულ თეატრს გაურბის დ სცდილობს თავი სხვაგან შეაფაროს, მარტო მამულიშვილური და პატრიოტული გრძნობები ვერ ამოძრავებს მას, რადგან მისთვის საინტერესოა სულიერი საზრდოც მიიღოს და ესთეტიური სიამეც განიცადოს, ხოლო ჩვენს თეატრში დღეს კიდევ იმგვარი შეგნება და ვითარებაა, რომელზედაც ესთეტიკამ თავისი უარყოფითი განაჩენი დიდი ხანია რაც გამოიტანა. თეატრი ცარიელდება და მას ვერც რამდენიმე პირთა თავგამოდებული ქველმოქმედება შველის; უკანასკნელი უბრალო პალიატივის სახეს ღებულობს და თვითმსახიობნიც, ნახევრად უზრუნველყოფილნი, ნახევრად მშიერნი ისე უცქერიან თავიანთ საქმეს, როგორც სხვათა შორის მოვალეობას, ეს „სხვათაშორისობა“ კი ნიჭისა და ტალანტის მომაკვდინებელია, ეს თანამდებობა მისთვის წარმავალი და დროებითია და იგიც სცდილობს რაიმე საქმე გამოსძებნოს, რომ მსახიობობასა და შიმშილობას თავი დახწიოს; ამ მხრივ მას არ აინტერესებს არც ხელოვნება, არც მისი პრინციპები, არც შემოქმედებითი ძალა და ტიპის საფუძვლიანი შესწავლა, ეპოქის გათვალისწინება დ სხ.

ჩვენს სცენას განახლება [illegible], წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიკვდილი აუცილებელია. ჩვენში უნდა გაჩნდეს ახალი დრამა, დრამა სიცოცხლისა, საზოგადოდ ცხოვრების, სულის დრამა და არა ეფექტებით შეზავებული „თავზარდამცემი“, „შემაძრწუნებელი“ სურათები, ზღაპრული ვითარებით სავსე მოქმედებები...

უნდა უსიცოცხლო მარიონეტკების მაგიერ, ნამდვილი აქტიორი ამეტყველდეს მთელი თავისი სულის სიღრმით. თეატრისა და სცენის კარგმა მცოდნემ თავ. ვოლკონსკიმ ამას წინად გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი შრომა: „ადამიანი სცენაზე“. ამ ნაწარმოებში ავტორი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ გარეგნულ ეფექტს, თვალწარმტაც სურათებს და ფერადებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ეძლევა, ანუ იმდენი რამდენადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მსახიობის „მოქმედებას“ და ამის ილლიუზიასა ჰქმნის.

თეატრი, სცენ[illegible] პლასტიური, [illegible] მოძრაობაა და ამ მოძრაობის სული მუსიკაა, იგია მისი სიღრმე, ფილოსოფოსია. ეს მუსიკაც ხომ სულის ნაკვთების ნარნარია, **მოძრაობა,** მაშასადამეს, რაც მოძრაობს და რასაც სიცოცხლის ნასახი უჩანს, არის არსი თეატრისა. რა არის ამგვარი სცენაზე?

თქვენ ჰხედავთ დეკორაციებს, მინდვრებს, ხევებს, იატაკს, ავეჯს და სხვ. ყველა ეს წუთით გიზიდავთ, მაგრამ ინტერესი მათდამი ჰქრება, რადგან ყველა ეს უმოძრაო და... აჰა, ამ დროს გამოდის მსახიობი ადამიანი, ერთად ერთი მოძრავი ელემენტი, რომელიც სხეულის ყოველი ნაკვთის მდგომარეობით სულის თამაშსა და სხვა და სხვა გვარობას ხატავს, აქვე ილლიუზიას ამთავრებს ხმის ცვალებადობა და სახედ ქცევა. აი, რა ჰხატავს დრამას.

აქ ვერ ვხედავთ გარეგნულ უსულო მოძრაობას, აქ უწინარეს ყოველისა, მოძრაობს ადამიანის არსი, სული, რომელიც სხეულზე გადადის და ხან ობიექტიურად გამოხატულ „მოქმედებად“, იქცევა და ხან უმოქმედებაში, პასივობაში მხილდება; მაგრამ ეს უმოქმედობა მსახიობმა „მოქმედებით უნდა შექმნას, მიმიკით გამოსახოს. ახალ დრამას ახალი სკოლის აქტიორი სჭირია, ის, ვინც აღზრდილა ლევან ხიმშიაშვილის რეჟისორობაზე და გაიოზის რიტორიკაზე ამ ვითარებას დაამახინჯებს და სულის ღრმა ტრაგედიას ვერ დასახავს; ჩვენი აქტიორები საუბრის ნაცვლად გაჭიანურებულ სიმღერას ამბობენ და მათ გადამუშავებას დიდი ენერგია სჭირია; ვეჭვობ რომ რეჟისორმა ეს შეძლოს, თუ შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისეთ პიესებს დასდგამს, რომლის გმირები გამოკანდაკებული სახეები იქნებიან, ნამდვილ მოქმედებით ამოძრავებულნი, სულიერი დრამით გატაცებულნი, ამგვარი პიესები საუკეთესო სკოლა იქნება ჩვენი აქტიორებისათვის, აქ ისინი გამოიწვრთნებიან და მიჰხვდებიან რომ ნამდვილი მოქმედება იქ კი არ იყო, საცა ისინი ხმალს იქნევდნენ, არამედ იქ, საცა სული ორდება, შფოთავს, მარადიულ კითხვების ძიებაში ვერ ერკვევა და უმწეობას განიცდის. ეს განცდა და დრამაც უმთავრესად სუბიექტიურია.

თუ ამგვარი პიესები, რომლებიც გემოს გაადვიძებენ და სკოლას შეჰქმნიან, ჩვენ არ ბოგვეპოება, საჭიროა ითარგმნოს; უმჯობესია უცხოელის ხეირიანი პიესა დაიდგას და მით ჩვენს დრამატურგებსაც სწორ გზაზე მივუთითოთ და აქტიორებიც ახალი დრამისათვის გამოვწრთვნათ, ვინემ ორიგინალური, უმსგავსო პიესები დავდგათ ესთეტიური გემოვნება ერთს დონეზე გავყინოთ და ცოცხალი აქტიორებიც ჩავკლათ.

ამ განახლებასთან ერთად ჩვენი საზოგადოებაც პირს იბრუნებს ქართულ თეატრისაკენ და ხელოვნურად და ქველმოქმედებით მობოგინე თეატრი, ბუნებრივის გზით გასწევს წინ.

აკაკი პაპავა.

მუშათა შორის

ტფილისის საქონლის სადგური.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ტფილისის საქონლის სადგურს აწარმოებდა მუშათა არტელი „შრომა“. ამ ხნის განმავლობაში მან დაუმტკიცა თავისი ვარგისობა, როგორც საზოგადოებას, ისე რკინის გზის სამმართველოსაც, რისთვისაც ამ უკანასკნელიდან შესაფერი ატესტაციაც მიიღო. ამისდა მიუხედავად საჯარო ვაჭრობის დროს საქონლის სადგური რკინის გზის სამმართველომ გადასცა ახლ არტელს ეგრედ, წოდებულ „ვარიაგს“, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ამ საჯარო ვაჭრობაზე დაუკლო თვითეულ 1000 ფუთზე 1 მ. 50 კ. ე. ი. თუ არტელი „შრომა“ 1000 ფუთის დატვირთვა-გადმოტვირთვაში რკინის გზის სამმართველოდან ღებულობდა 3 მ. 75 კ. „ვარიაგმა“ იკისრა 2 მ. 25 კ.

სადგურის ჩაბარების დღიდანვე ამ არტელმა დაამტკიცა, რომ მას არ შეეძლო გა[illegible] საქმეს, რომლის შე[illegible] ხელფასი ისედაც დაკლებული გამოდიოდა და ზოგიერთი „ვარიაგის“ ხელმძღვანელები კი სარგებლობდნენ თავიანთი უფლებებით და ითვისებდნენ არტელის ფულებს, ვინაიდან მათთვის კანტროლი არ არსებობდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საარტელო ფულის გაფლანგვისათვის რამდენიმე ხელმძღვანელთაგანი არტელიდან დაითხოვეს.

ამ არტელში იმყოფებიან ის მუშები რომლებმაც გაყიდეს თავიანთი მარჩენალი შინაური საქონელი საოჯახო ნივთები, მხოლოდ იმიტომ რომ 40 მან. ეშოვნათ გირაოთ და მით არტელის წევრად გამხდარიყვნენ. მათ ჰპირდებოდნენ, თვეში 40—50 მანეთამდე მაინც აიღებთ ხელფასსაო, დაპირება დაპირებად დარჩა და 40—50 მანეთის მაგივრათ მუშები თვეში 17—27 მანათამდე ძლივს ღებულობენ. ცხადია, ამ თანხით ოჯახის კი არა, თავისი თავის გამოკვებაც შეუძლებელია. ამიტომ არტელის წევრებმა თავის ადგილების გაყიდვა იწყეს, რათა თავიანთი გირაო მაინც გაენაღდებინათ და თავი დაეხწიათ არტელისაგან. გაჩაღდა ადგილების ყიდვა-გაყიდვა, რამაც შედეგად გამოიწვია ის, რომ ძველების ალაგი თითქმის სულ ახლებმა დაიჭირეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რტელის ხელმძღვანელები წევრებიდან მოითხოვდნენ, რათა ყოველგვარი თხოვნა ან განცხადება, მიმართული არტელის გამგეობისადმი, ყოფილიყო წერილობითი და ისიც რუსულად, რაც კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში აყენებს არტელის უმრავლესობას, ვინაიდგან არტელის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. ამის გარდა დიდი დავიდარაბა დ ხვეწნა-მუდარაა საჭირო, რომ არტელის გამგეთაგან მუშა თავიანთ ხვედრი ფულის აღებას ეღირსოს. პირადად ვნახე თხოვნა, რომელიც ერთი არტელის წევრისაგან იყო მიმართული გამგეობისადმი. მთხოვნელი აღნუსხავდა თავის ოჯახის უმწეო მდგომარეობას და თავის ხვედრ ჯამაგირს თხოულობდა. ბ-ნ გამგეს რუსულად წაეწერა ამ თხოვნაზე: „не удовлетворено“, და უკანვე დაებრუნებინა. ამ რიგად, მცირე ხელფასი, ხელმძღვანელების მიერ ფულების ფლანგვა და „კანცელიარშჩინა“, ადგილების ყიდვა-გაყიდვა, განხეთქილება, როგორც მუშებსა და გამგეობისა, ისე თვით მუშებს შორის. აი რით ხასიათდება დღევანდელი არტელი „ვარიაგი“.

შესძლებს იგი ამ პირობებში საქმის წარმოებას და საზოგადოებისა და რკინის გზის სამმართველოს თვალში ნდობის მოპოვებას. ამას მომავალი დაგვანახვებს.

მატ—იანი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები

სერბიის მხრით.

სერბიელების ბრწყინვალე გამარჯვება.

ბელგრადი. ოფიციალური ცნობით, კუმანოვის ბრძოლაში მონაწილეობდა პირველი არმიის ნაწილი. ოსმალეთის ჯარს, რომელსაც 30000 ჯარის-კაცი შეადგენდა, ეკავა რამდენიმე პოზიცია. სერბიელები, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა სწარმოებდა შიშველ ველზე მხნედ წინ იწევდნენ. ხან და ხან ხელჩართული ბრძოლაც გაიმართებოდა ხოლმე. 24 საათის ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა გაიმარჯვეს. ოსმალებს მოუკლეს 5000 კაცი. სერბიელების დანაკლისი საგრძნობია. ბრძოლას მეთაურობდა მემკვიდრე ალექსანდრე, იგი ხშირად ხიფათში ვარდებოდა ხოლმე. სერბიელებმა 12 ზარბაზანი ხელთ იგდეს. მეფემ, შტაბის უფროსის თანხლებით ბრძოლის ველი ინახულა. სერბიელების გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აწერენ; ოსმალებს დარჩათ მხოლოდ ერთი უსკიუბის პოზიცია. ბელგრადში მოელიან 800 დაჭრილს.

ბელგრადი. ოფიციალური ცნობით, პირველი არმიის წინა რაზმებმა დაიჭირეს კუმანოვის მთავარი პოზიციები. 11 ოქტომბერს კუმანოვის ნაწილი აიღეს. ბრძოლა უკანასკნელ სიმაგრისთვის ლა არის. ოსმალეთის არტილერია სასტიკად დამარცხდა.

ბელგრადი. საჩქარო კანონპროექტების მიღების შემდეგ სკუპშტინა დაიშალა. როდის-ღა შედგება სხდომები ჯერ არ იციან. დეპუტატები ფულის აღების უარს ამბობენ. სამხედრო საქმეს უფრო უჭირს, ამბობენ ისინი.

კუმანოვოს აღება.

ვრანია. შუადღისას კუმანოვო აიღეს. ცხოველი ბრძოლაა, სერბიის ჯარი იუსკუბისკენ იწევს. სერბიელებმა აიღეს სენიცა. ნოვობაზრის და სენიცის აღების შემდეგ სერბიელები წარმოადგენენ ნოვობაზარის სრულ ბატონ-პატრონებს,

ბულგარეთი.

სოფია. მეფემ შვილებითურთ ინახულა ადრიანოპოლში დატყვევებული ჯარის-კაცები. მეფემ ხელი გაუწოდა ორ ტყვე აფიცერს, ებაასა ჯარის-კაცებს, რომელთა შორის 30 ოსმალეთის ბულგარი იყო. ტყვენი მადლობას უხდიდნენ სათნოიან მოქცევისთვის. აფიცრები მიიწვიეს საუზმისთვის სამხედრო საკრებულოში, ჯარის-კაცები კაზარმებში.

სოფია. ბულგარეთის ჯარმა აიღო კირკ-კილისი.

სტარიზაგორა. 10 ოქტომბერს ბულგარები გავიდნენ არლე და სამხრეთით ალყა შემოარტყეს ადრიანოპოლს. წინა სიმაგრეები დაიჭირეს. სოფელ მარაჩში ოსმალეთის ორი ბატალიონი თავს დაეცა ბულგარებს. ბულგარებმა წაართვეს სამი მსწრაფ სასროლი ბატარეა. 1200 ოსმალო ტყვედ შეიპყრეს.

სოფია. კარნის სროლის დროს 8 ოქტომბერს ოსმალეთის ესკადრამ სროლა აუტეხა წმინდა კონსტან. მონასტერს და საშავვა სანატორიუმს. სანატორია არ დაზიანდა. ესროდნენ აგრეთვე ქალების და ბავშვების ცალკე ჯგუფებს.

სტარიზაგორა. ბულგარეთის ცხოვრება თავის დონეზე დგება, მას შემდეგ, რაც საჩქარო სამხედრო გადასვლ-გადმოსვლა მისწყდა. მატარებელთა მიმოსვლა განახლდა. გზებზე წეს-რიგია დაცული. სტარიზაგორაში სიმშვიდეა, მხნე სულის ვითარებაა გამეფებული. მუშაობა დინჯად სწარმოებს. ბრძოლის ველიდან მოსული ცნობები ხალხის დამაკმაყოფილებელია. ჯარი მედგრად წინ ილტვის და მთავარ პუნქტებს იჭერს. მეორე არმია შიგ მაკედონიაში მიიშურება.

სტარიზაგორა. ზნეობრივი მდგომარეობა ჯარისა საუცხოვოა. პირველმა გამარჯვებამ, ბულგარეთის ჯარზე კარგა იმოქმედა. მათი ლოზუნგია: „სულ წინ, სტამბოლში“. ჯარი მხოლოდ ექიმებს საჭიროებს. 50 ექიმის მაგივრად, მთავარ სავადმყოფოში 7 ექიმია.

სოფია. კირკ-კილისი 11 საათზე აიღეს. ოსმალეთის ჯარი უწეს-რიგოდ უკან იწევს. ქალაქის ეკლესიებში აუარებელი ხალხის თანდასწრებით პარაკლისს იხდიან. მანიფესტანტების ჯგუფები საბერძნეთის, სერბიის და რუსეთის საელჩოების წინ „ვაშას“ ძახილით ირევიან.

სოფია. როცა ცნობა კირკილისის აღებისა მივიდა სოფიაში, აუარებელი ხალხი მანიფესტაციით, ყვირილით, აუწერელის სიხარულით მოკავშირე სახელმწიფოების დროშებით ხელში საელჩოებისაკენ გაემართნენ. გადაიხადეს პარაკლისი ბულგარეთის გამარჯვებისთვის და პანაშვიდი დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

სოფია. დედოფალმა ქალებითურთ გეშოვის თანადასწრებით ინახულა დაჭრილები, ებაასა მათ და ყვავილები და თუთუნი დაურიგა. საკოოპერაციო ბანკმა წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას იზრუნოს მოსავლისთვის.

საბერძნეთის მხრივ.

ათინა. საბერძნეთის ჯარი კამპუნიით წინ მიდიან ხამკონის და ბისტრიცის ველისკენ. ოსმალები უკან იწევიან; დასტოვეს მათ 22 მინდვრის ზარბაზანი. სერვისთან ბერძნებმა ბევრი ოსმალო ტყვე შეიპყრეს. ოსმალებმა სერვიაში 70 ბერძენი ამოხოცეს. მათ შორის ერთი მაკედონელია. ეპირის ჯარმა დაიჭირა სოფელი ჩავა, კარახედსი, პორშიცეე და პლესკა.

სტამბოლი. აქაურ ცნობებით საბერძნეთის მომქმედი ჯარი შეიცავს 100,000 კაცს. მათ წინააღმდეგ ოსმალებმა ორი დივიზია გამოიყვანეს. სალონიკში მოელიან ბერძნების დაცემას. ვარნაში გაიგზავნა ოსმალეთის ტრანსპორტი „პულჯემალი“ 2000 ჯარის-კაცით. ოსმალეთის ჯარში სახადი მძინვარებს.

ათინა. ინდოეთის ბერძნებმა შესწირეს მოხალისეთა ფონდს 731 სტერლინგი, ლონდონის ბერძნებმა 1400 გირვანქა. ეკლესიებში პარაკლისს იხდიან. მეფემ, მიტროპოლიტთან ლაპარაკის დროს, გამოსთქვა კმაყოფილება ჯარის მოქმედების გამო. გაზეთების ცნობით, ვენეზილოსი სრულიად დარწმუნებულია მოკავშირე სახელმწიფოთა გამარჯვებით. კრეტის მუსულმანები ღმერთს ევედრებიან, ოსმალოთ წარმოუვლინოს გამარჯვება.

ოსმალეთი.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა შტაბით სატახტო ქალაქიდან წავიდა. უნივერსიტეტი დაკეტილია. სტუდენტები მოხალისეებად ეწერებიან. ტრამვაის მიმოსვლა შესწყდა. გაზეთი „ჟენ-ტიურკ“ რუსეთს ბრალსა სდებს ბალკანეთის ომის გამწვავებაში.

ომი და სახელმწიფონი.

ვენა. პალატაში კრამაჟმა სთქვა: სლავიანთა გმირულ გამარჯვების შემდეგ, შეუძლებელი არის წაერთვას მათ ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება. ავსტრიის საზოგადოების აზრი სარეალო პოლიტიკას ემხრობა. ავსტრიაზეა დამოკიდებული ევროპის მშვიდობიანობაო. ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი და მთლად ევროპის ომი ასტყდებაო. ჩეხლები გულწრფელი მომხრე არიან მშვიდობიანობისა. მათი სურვილია, მონარქიამაც გაიზიაროს მშვიდობიანობის პოლიტიკაო.

ქრისტიანია. ოფიციალურად გამოცხადებულია ნორვეგიის ნეიტრალი ბალკანეთის ომში.

პეტერბურგი. ბალკანეთში წავიდა „წითელი ჯვრის“ საზოგადოების 4 რაზმი.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით.

ადრიანოპოლის იერიში.

ადრიანოპოლის ორი გარე-ციხე, ხელჩართულ ომის შემდეგ, ბულგარებმა აიღეს. ბულგარეთის მოწინავე რაზმებს, სამხრეთ-დასავლეთისა, დასავლეთისა და ჩრდილოეთის სიმაგრეების პირდაპირ. ოსმალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ, ასე რომ ბულგარები ყოველ გოჯ მიწას ბრძოლით იღებენ.

კირკილისეს აღება.

ხმებია, ბულგარეთის ჯარმა კირკილისეს მაგარი ციხე აიღოო. დანაკლისი ორივე მხრივ დიდია.

მოვლური.

ბულგარების მიერ მცირე ტირნოვოს აღებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ცხადია, რომ მიუხედავად იმისა, რომ აბდულაჰ-ფაშას ნაბრძანები ჰქონდა შეტევა, იგი უკან იხევს, რათა ქვეყნის შუა გულს შეიტყუოს ბულგარები. უკანასკნელნი მიჰხვდნენ ოინს და უმთავრესის ძალით აღმოსავლეთიდან მოვლურს უპირებენ ოსმალთა მარჯვენა ფრთას.

ოსმალთა მხეცობა.

ვენიდან იუწყებიან: ტახტის მემკვიდრის ოფიციოზი სწერს, რომ ოსმალები უკან დახევის დროს ბულგარელების სოფლებს სწვავენ და მცხოვრებთ ჟლეტენო. საშინელ სურათს წარმოადგენს სოფელი ნეკული, სადაც ასამდე ბულგარელი ქალი და კაცი დაიწვა.

სერბიის მხრით.

სერბიის ჯარის შეტევა.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ სამივე მთავარი რაზმი გამარჯვებით მიიწევს წინ. მეორე რაზმი გენ. სტეფანოვიჩის მეთაურობით კუსტენდილიდან კრივო-პოლანკის გზით კუმანოვოსკენ მიილტვის. მან აიღო ცარევო-სელო და ოსოგორის მთის სიმაგრეები.

რუიანის აღება.

მემკვიდრე-ალექსანდრეს ჯარის მოწინავე რაზმებმა აიღეს დაბა ბუიანოვცი და რუიანის სტრადეგიული სიმაღლეები, რომელიც ბუიანოვციდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 ვერსის მანძილზე იმყოფება.

ლაბის ოლქის შემოერთება.

კურშუმლიდან იტყობინებიან, რომ 6 ოქტომბერს, საღამოს, სერბიის ჯარმა ისარგებლა ნისლით და იერიში მიიტანა პოდუევის სიმაგრეებზე, გათენების დროს სიმაგრე დასტოვეს ოსმალებმა და სამხრეთისკენ დაიხიეს. ლაბის მიდამოებიდან საჩქაროდ აიყარნენ არნაუტელები. ლაბის მიდამო ცალკე მაზრად გამოჰყვეს და სერბიას შეუერთეს. ამის შესახებ ავსტრიის გაზეთი „ტეგლიშე რუნდშაუ“ სწერს: სერბიის მესამე რაზმს ბრწყინვალე გამარჯვება ჰხვდა. არტილერიის მოქმედება განსაცვიფრებელია. მთელს სივრცეზე, დუბნიციდან—პოდუევამდე, ოსმალები და ალბანელები სასტიკად დამარცხდნენ. ცხარე ბრძოლამ 4 საათს გასტანა. ოსმალეთის მხრივ იბრძოდა 23.000 კაცი, რომელთაგანაც 1.200 მოჰკლეს და 2.500 დასჭრეს. სერბიელებს 150 კაცი დააკლდათ. იგინი კუმანოვოსკენ მიდიან.

მთავარი ბანაკი.

სერბიის ჯარის მთავარი ბანაკი ქ. ნიშშია. ამ ჟამად იქ იმყოფებიან მეფე პეტრე და მთავარი სარდალი რადომილ პუტნიკი.

პოლკოვნიკი გინევი.

პოლკოვნიკმა გინევმა თავი მოიკლა, რადგანაც იგი ზურგის ჯარში დანიშნეს; მას უნდოდა მოწინავე რაზმებში ბრძოლა.

ჩერნოგორიის მხრით.

ოსმალების გულ-გატეხილობა.

ომის მთელს ასპარეზზე ოსმალებს უწესრიგობა, არევ-დარევა და სულით დაცემა ეტყობათ. ჩერნოგორიის რაზმები გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ მიილტვიან. ბელოპოლიესა და ბერანის აღების შემდეგ, მათ აიღეს ქალაქი პლავა და ჩერნოგორიას შეუერთეს.

ქ. გუსინიეს აღება.

გენ. ვუკოტიჩის რაზმმა ქ. გუსინიე აიღო. ასე რომ ალბანეთის მთელი ჩრდილო-დასავლეთის მხარე და ნოვობაზარის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი დღეს ჩერნოგორელების ხელშია. გუშოვიჩმა მთელი დაპყრობილი მხარე ჩერნოგორიის შეუერთა და ქალაქ-დაბებს შუა ტელეფონი მოაწყო.

საბერძნეთის მხრივ

ჯარის მოძრაობა.

საბერძნეთის ჯარი, რაკი ელასონის ციხე აიღო, ირაბიცისკენ გაემართა, სადაც ოსმალთა 38.000 ჯარისკაცია თავ-მოყრილი

კუნძულ კრიტეს ჯარი.

ათინიდან იუწყებიან: კუნძულ კრიტედან მოსული რაზმი, რიცხვით 2.500 კაცი, დაუყოვნებლივ გაეშურა ბრძოლის ველისკენ.

ეპირის ლაშქარი.

ეპირის ლაშქარმა გენ. საპუნზაკის მეთაურობით აიღო გრიმინისტა, სადაც ოსმალებმა მცირე წინააღმდეგობა გაუწიეს.

კოსტაკის აღება.

ეპირის რაზმმა, რომელიც გრიბოვოკოსტაკის გასწვრივ მოქმედებს, 8 ოქტომბერს აიღო კოსტაკი. ოსმალები სტრევინოში იყრიან თავს. დღე დღეზე ელიან ახალ ბრძოლას.

საბერძნეთის ფლოტი.

სტამბოლიდან იუწყებიან: საბერძნეთის 11 სამხედრო გემი კუნძულ ლემნოსთან და ტენედოსთან შენიშნეს ამბობენ, ბერძნებმა უკვე აიღეს ეს კუნძულებიო.

რკინის გზის დანგრევა.

ვენიდან ცნობაა: საბერძნეთის ფლოტმა ზარბაზნებით სრულიად დაანგრია სალონიკ-დედეგაჩის რკინის გზა.

7.000 ტყვე ოსმალო.

ლონდონიდან იტყობინებიან: ელასონის ციხის აღების შემდეგ ბერძნებს ტყვედ ჩაუვარდათ 7.000 კაცი და მრავალი სამხედრო სურსათი.

ოსმალეთის მხრით

მთავრობის განცხადება.

ოსმალეთის მთავრობამ თავის ელჩებს დაავალა: გამოუცხადეთ სახელმწიფოებს, რომ ოსმალეთი ვერც ახლა და ვერც ომის გათავების შემდეგ, ატეხილ დავაში გარეშეთა ჩარევას ვერ მოითმენსო.

ავსტრიის საეჭვო მოქმედება.

ავსტრიის მთავარ შტაბს დაუდგენია თუ ომის დაწყება მოგვიხდა, ჩვენს ჯარში მხოლოდ 18 კორესპონდენტს ექნება ადგილი: 6 ავსტრიისა იქნება, 6 ჰუნგრეთისა, დანარჩენი კი უცხო სახელმწიფოებისაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

13 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

პეკინი. გარეშე საქმეთა მინისტრმა, დანჯუხამ პირველმა ინახულა ელჩები.

ლონდონი. საზოგადო პალატა. ნაციონალისტი გინელი შეეკითხა გრეის: რუსეთის მთავრობას ჰქონდა რაიმე მოლაპარაკება ინგლისთან, სანამ კოროსტოვეცს გაჰგზავნიდა მონღოლიაში მონღოლთათვის რჩევის მისაცემად ჩინეთს ნუ ემორჩილებითო. გრეიმ უპასუხა, რომ არაფერი იცის კოროსტოვეცის ამ მისიის გამო და არც საბუთი აქვს ეს იფიქროსო.

ვენა. პოლონელთა კლუბმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: მიიღო რა მხედველობაში ის პოლიტიკა მონარქიის მოკავშირე სახელმწიფოსი, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის და უფლების პრინციპებს და რომელიც სდევნის განსაკუთრებული კანონებით, სდევნის მათ თვისტომთა მამა-პაპის ბინიდან, დაასკვნის, რომ ამისთანა მოქმედებამ არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს პოლონელთა კლუბსა და მოკავშირე მონარქიის ურთიერთობაზეო. პოლონელთა კლუბი ითვალისწინებს იმ არასასურველ შედეგს, რაც შეუძლიან მოუტანოს პოლონელთა ხალხს ამ მოქმედებაა, და ამიტომ აფრთხილებს პოლონელებს და სთხოვს, რომ მათ მოქმედებას სრულის ნდობით მოეპყრონო.

მანილია. ჩინეთის ვაჭრები ბოიკოტს უცხადებენ იპონიის საქონელს.

ქრისტიანია. სტორტინგში ჯერჯერობით აირჩიეს 38 მემარჯვენეა რადიკალი. 8 სოციალისტი.

მადრიდი. 1500 სტუდენტმა მანიფესტაცია გამართა დეპუტატების პალატის წინ.

რუსეთი

მემკვიდრის ავადმყოფობა.

პეტერბურგი. ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. 11 ოქტომბერი დილის 10 საათი. მემკვიდრეს ეძინა ხანგამოშვებით. ტკივილებს თითქმის არ გრძნობდა დილით სიცხე 38,1° გრადუსი, პულსი 124.

პეტერბურგი. მთავრობის დაწესებულებების ეკლესიებში გადაიხადეს პარაკლისი მემკვიდრის დღეგრძელობისთვის და განკურნებისთვის.

პეტერბურგი. მემკვიდრის ავადმყოფობის ბიულეტენი; 11 ოქტომბერი, საღამოს 7 საათი „მემკვიდრემ ეს დღე შედარებით კარგა გაატარა ზომიერ ტკივილს ჰგრძნობდა, დღისით სიცხე 38,7 გრ. პულსი 132, საღამოთი 136.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს შენობაში, კოკოვცევმა გადაიხადა პარაკლისი მემკვიდრის დღეგრძელობისთვის. გაუგზავნეს სპალაში თანაგრძნობის დეპეშა. ყველა ქალაქებიდან თანაგრძნობის დეპეშები მიდის სპალაში.

თავ. დადიანის საქმე.

ვლადიკავკაზი. სამოსამართლო პალატაში დაიწყო უგანათლებულეს თავადის დადიანის საქმის განხილვა, რომელსაც თავად დადეშქელიანის მკვლელობა ჰბრალდება.

გაზეთის დაჭერა.

პეტერბურგი. დაიჭირეს „ლუჩის“ მეოცდამეორე ნომერი. წერილისთვის „კადეტები და ესდეკები და მუშების ხმა“.

ქარიშხალი.

ოდესა. ქარიშხალმა ბევრი ხე წააქცია, სახლის სახურავებიც აჰგლიჯა. ოთხასზე მეტი ტელეგრაფის ბოძი დააზიანა. ტრამვაის მიმოსვლა შესწყდა. ზღვაზე ღელვაა.

ტაგანროგი. ქარიშხალმა წააქცია ბევრი ტელეგრაფის ბოძი. ადამიანის მსხვერპლიც არის.

ნიკოლაევი. ზღვაზე ღელვაა.

გემის დაღუპვა.

იურევეცი. სიროტკინის გემი „მუჟიჩოკი“ ჩაიძირა. დაიღუპა გემის უფროსი და ექვსი მეზღვაური.

პეტერბურგი. მმართველ სენატის ბრძანება. სახელმწიფო სათათბიროს წევრის არჩევნები მოხდება ქალაქ მოსკოვში, კიევში და რიგაში ამ წლის 18 ოქტომბერს. პეტერბურგში და ოდესაში 25 ოქტომბერს. თუ არჩევნები ზემო დასახელებულ ქალაქებში უნაყოფო გამოდგა, მაშინ მოსკოვსა, კიევსა და რიგაში 23 ოქტომბერს მოხდება, პეტერბურგში და ოდესაში კი 30 ოქტომბერს.

საგუბერნიო არჩევნები ვოლინისა, გროდნოსი, ეკატერინოსლავისა, კურსკისა, მაგილიოვისა, ნიჟეგოროდისა, ორლოვისა, პოდოლსკისა, პოლტავისა, პსკოვისა, ხარკოვისა და ხერსონის გუბერნიებში და მოგილიოვის რუს მცხოვრებთა არჩევანი მოხდება ამ წლის 18 ოქტომბერს.

20 ოქტომბერს მოხდება არჩევნები შემდეგ გუბერნიაში: ასტრახანის, არხანგელის, ვილნოს, ვოლოგდისა, ვორონეჟისა, ყაზანისა, კალუგისა, ნოვგოროდისა, ოლონეცკისა, პენზისა, პერმისა, რიაზანისა, პეტერბურგისა, სარატოვისა, სტავროპოლისა, ტომსკისა, ტულისა, უფისა. იაროსლავისა, ვარშავისა, ლიუბლინისა, პეტროკოვსკისა, პლოცკისა, რადომსკისა, სუვალკისა და სედლეცის გუბერნიაში. 20 ოქტომბერშივე მოხდება არჩევნები რუსთა მცხოვრებთ დეპუტატისა კოვნოს გუბერნიიდან, ქალაქ ვარშავიდან თერგის ოლქიდან; 20 ოქტომბერს მოხდება კავკასიის საარჩევნო ოლქებში არჩევნები.

25 ოქტომბერს დეპუტატის არჩევნები მოხდება. ბესარაბიისა, ვიტებსკისა, ვიატსკისა, ენისეისა. ირკუტსკისა, კოვნოს, კურლიანდისა, ლიფლიანდისა, მინსკისა, მოსკოვისა, ორენბურგისა, სამარისა, ტავრიდისა, ტამბოვისა, ტვერისა, ტობოლისა, ჩერნიგოვისა, და ესტლიანდის გუბერნიებში. 25 ოქტომბერსვე მოხდება არჩევნები დონისა და ზაბაიკალის ოლქში და ქალაქებში: ვარშავასა და ლოძში.

უცხოეთი

იტალიის მთავრობის დეკრეტი ტრიპოლიტანიის და კირენაიკის თაობაზე.

ჩამოვარდა თუ არა ზავი იტალიასა და ოსმალეთს შორის, იტალიის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც დამატებაა ცნობილ „თებერვლის კანონისა“, რის ძალითაც ტრიპოლიტანია და კირენაიკა იტალიის ბრძანებლობის ქვეშ იყო გამოცხადებული. დეკრეტი ჰპირდება სრულ ამნისტიას ტრიპოლისის და კირენაიკის მცხოვრებთ, ვინც ომში მონაწილეობა მიიღო. „არავინ, რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, არ დაისჯება კანონით, ომის თაობაზე გამოთქმულ აზრისთვის. ვინც ამის გამო დევნილნი იყვნენ. დღეიდან თავისუფლად ითვლებიან; ეს არის პირველი მუხლი დეკრეტისა. მეორე მუხლი, მუსულმანთა კულტს უზრუნველჰყოფს ტრიპოლისის და კირენაიკის მცხოვრებთათვის. სულთანის სახელის ხსენება მუსულმანთა დაწესებულებებში უფლება არ იქნება შეზღუდული, მთავრობა არ ჩაერევა მუსულმანთა და კადის ურთიერთობაში. მესამე მუხლი, სცნობს სულთანის მოადგილის უფლებას ოსმალეთის ინტერესების დაცვაში ტრიპოლიტანიის და კირენაიკის ოსმალეთის ქვეშევრდომთათვის. მეოთხე მუხლი ჰპირდება, დაარსოს ისეთი კომისია, რომელიც ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით და ნაიბების მონაწილეობით, სამოქალაქო კანონმდებლობას შემოიღებს პროვინციებისთვის.

ინგლისის და გერმანიის მუშათა პარტიის მანიფესტი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის და ინგლისის მუშათა პარტიამ ამ ცოტა ხანში გამოსცა მანიფესტი ინგლისის და გერმანიის ურთიერთობის თაობაზე. მანიფესტი შემდეგი შინაარსისაა: „გერმანიის და ინგლისის პარლამენტები კვლავ შეუდგნენ მთავრობის დაკმაყოფილებას, მათ შესამჩნევად გაადიდეს რიცხვი საზღვაო ასიგნაციებისა და ამით, მილიტარიზმის უღელი კვლავ დაადგეს ხალხს. მუშა კლასის წარმომადგენელნი, ინგლისშიაც და გერმანიაშიაც სასტიკად ებრძოდნენ ამ პოლიტიკას; მაგრამ პარლამენტში ამ პარტიას საკმაო ძალა არ აქვს მოპოვებული, რომ საზღვაო და სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის მიღებისთვის ხელი შეეშალათ. ამ რიგად სახელმწიფოს შეიარაღება სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ, და ხალხს მძიმე უღლად აწევება კისერზე ხარჯის გაღება, სანოვაგის ძვირება და ზედ დაურთეთ კიდევ ომის შიშის ზარი. მტრული განწყობილება ინგლისის და გერმანიის მუშათა შორის სრულიადაც არ არის. ისინი იმის წინააღმდეგ მიდიან, ვინც ორივე სახელმწიფოში ომის აგიტაციას ეწევა. ისინი მოსთხოვენ სახელმწიფოების შეიარაღების პოლიტიკის სრულიად მოსპობას; ინგლისის და გერმანიის ომი, იმ საშინელ დანაკვამდე და კატასტროფამდე მიგვიყვანს, რომელიც ჯერ ისტორიას თავის მრავალფეროვან ფურცლებზე არ უღებეჭდავს.

ვინც ამ განსაცდელს ნიადაგს უმზადებს ის დიდ და სამარცხვინო დანაშაულობს სჩადის კაცობრიობის წინაშე. ამ კატასტროფის თავიდან აცილება შეუძლიან მუშათა კლასს. ჩვენ წარმომადგენელნი მუშათა კლასისა, თავის ინტერესები რომ შეუგნია, მოუწოდებთ ყველა მუშას ინგლისისას და გერმანიისას შეუერთდეს მუშათა ორგანიზაციებს, და ამით ხელი შეუშალოს ცივილიზაციის და კულტურის დაღუპვას, ადამიანთა სისხლის ღვრას და განადგურებას. ინგლისის და გერმანიის მუშანო! თქვენ ფრიად რთული ვალი მიგიძღვით ისტორიის წინაშე, თქვენ უნდა იყვნეთ ხალხთა კეთილდღეობის, ბედნიერების წინამორბედნი. შეერთდით, მოაწყეთ ორგანიზაციები ურთიერთთა თანხმობის და მშვიდობის დასაცავად“.

მანიფესტს ხელი მოაწერა რეიხსტაგის 110 წევრმა და საზოგადო პალატის 41 წევრმა.

რუსეთი

დეპუტატების პასუხისმგებლობა.

დეპუტატების პასუხის მგებლობის საკითხი რამდენჯერმე იყო განხილული სახელმწიფო საბჭოში, რამდენჯერმე იყო მის მიერ გადაწყვეტილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა ეს საკითხი წარდგენილია გადასაწყვეტად მმართველ სენატში. თუმცა ეს საკითხი კერძო ინიციატივით აღიძრა და თითქოს კერძო ხასიათი აქვსო, მაგრამ მმართველი სენატი ამ საკითხის ზოგადად განიხილავს. პირველ ყოვლისა გადასაწყვეტია, მისცეს თუ არა პასუხისგებაში სახელმწიფო სათათბიროს წევრი პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვისთვის, ან კერძოდ კომისიებში გამოთქმულ აზრისთვის, თუ ეს სიტყვა ან აზრი არსებითად დანაშაულობის თვისებას შეიცავს. დანარჩენი მუხლები საერთო საკითხის წვრილმანი ნაწილებია.

უწმინდეს სინოდის სხდომა.

8 ოქტომბერს ობერ-პროკურორის საბლერის თანადასწრებით უწმინდესი სინოდის საგანგებო კრება იყო, სადაც განიხილეს საარჩევნო მოქმედების საკითხი. საბლერმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა ახლანდელი მდგომარეობა ეკლესიისა და სახელმწიფოსი და მიუთითა კრებას ის პოზიცია, სამღვდელოებამ რომ დაიჭირა საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე. სამღვდელოების გამოსვლა საარჩევნო ასპარეზზე, [illegible] სახელმწიფოს იხსნის იმ განსაცდელისაგან, რასაც ემუქრებოდა არა სასურველი ელემენტები სათათბიროსო: ამასთანავე საბლერმა არა სასურველად იცნო დიდი რიცხვი სამღვდელოების დეპუტატებისა, რაც მთავრობის ინტერესებსაც ეწინააღმდეგებაო. როგორც გამოირკვაო, განაგრძო საბლერმა, მღვდლების კანდიდატების სიაში მემარცხენე მღვდელებიც მოჰყვნენო, მათ გაყვანას სათათბიროში სასტიკად უნდა ვებრძოლოთო. საბლერის სიტყვის შემდეგ საარჩევნო ბიუროს წევრებმა ეპარქიებში არჩევნების მსვლელობის მოხსენება წაიკითხეს. მთლად კანდიდატების სია გამორკვეული არ არის, არც ის არის სავსებით ცნობილი, რომელი კანდიდატი რა მრწამს აღიარებს. ჯერ-ჯერობით კრებამ სასურველად იცნო მხოლოდ 40 კანდიდატი.

კრებამ ითათბირა აგრეთვე საეკლესიო კრების მოწვევის და სასულიერო სასწავლებლების რეფორმების თაობაზე. კრებამ სურვილი გამოსთქვა 1913 წელს თებერვალში, როცა რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეს იდღესასწაულებენ, გამოქვეყნდეს საპატრიარქოს აღდგენის და საეკლესიო კრების მოწვევის მანიფესტი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 14 ოქტომბერს, ქართული სცენის მსახიობნი წარმოადგენენ „კინს“, ანუ „გენიოს-სალახანა“, დრამა დიუმას შვილისა, გუნიას მიერ ნათარგმნს. კინის როლს ასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ქართული თეატრი. ამ თვის მეორე ნახევრიდან ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა აარსებს **დრამატიულ კურსებს**. პედაგოგიური პერსონალი უკვე შესდგა და მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ყოველ დღე ქართულ თეატრში კურსების დირექტორთან **ვლ. ალ.—მესხიშვილთან.**

ტფილისის ქართულ დრამ. საზოგ. გამგეობას განუზრახავს გამოსცეს პერიოდიული კრებულები სარეპერტუარო პიესებისა. ამისათვის გამგეობა უკვე შეეკრა პირობით წიგნის გამომცემლის ფირმის წარმომადგენელს ბ. მ. გაჩეჩილაძეს.

იაკობ გოგებაშვილის ფონდი

ბ. რედაქტორო!

განვლილის სექტემბრის 19, სიღნაღის მთავარანგელოზის ეკლესიაში, მეორე საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებამ, კრების დაწყების წინედ გადიხადა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ სასიქადულო მამულიშვილთა—იაკობ გოგებაშვილის და ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად, ხოლო საბლაღოჩინო კრების გახსნის დროს მათის სახელით გახსნილ ფონდის სასარგებლოდ შეჰკრიბა დამსწრეთაგან შემდეგი შესაწევარი:

დეკანოზმა სვიმონ ბეგიევმა 3 მ. მღვდელმა ირაკლი ცინცაძემ 1 მან. მღვდელმა იოანე ახმეტელოვმა 1 მ. მღვდელმა დიმიტრი მჟედლოვმა 1 მ. მღვდელმა ვასილ ნათიძემ 1 მან. მღვდელმა დიონისე მერებოვმა 50 კ. მღვდელმა ალექსანდრე ზირახოვმა 50 კ. მღვდელმა დავით ქოქიაშვილმა 50 კ. მღვდელმა ნიკოლოზ ბარნაბოვმა 40 კ. მღვდელმა გრიგოლ გულიაშვილმა 50 კ. მღვდელმა პავლე იაშვილმა 40 კ. მღვდელმა ივანე ჩილაევმა 60 კ. მღვდელმა მოსე ხუციევმა 50 კაპ. დიაკვანმა გიორგი ხანიაშვილმა 50 კ. სულ 11 მან. 50 კაპ. აქედან 25 კაპ. ფოსტის ხარჯი, ხოლო 11 მ. 25 კ. ამასთანავე ერთად იგზავნება რედაქციაში ფოსტით.

სიღნაღის დეკანოზი ბლაღოჩინი **სვიმონ ბეგიევი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს ოზურგეთის წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ფულად თუ წიგნებად: ექ. ი. ე. თიკანაძემ—10 მ.; ექ. ი. ნ. მუჯირმა—10 მ.; ვ. კ. შავარდნაძემ—5 მ. ი. ბურჯულაძემ 5 მ., ნ. თოიძემ—5

მ.; რ. ჩხატარაიშვილმა; 3 მ.; გ. შარაშიძემ - 3 მ.; ა. შავიშვილმა 3 მ. და სტ. ს. მ. ყორღოლიანმა 52 ცალ. წიგნი.

ოზურ. წიგნ.-ს აცავ-სამკითხველოს გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრო).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სღ. 5 ს. 30 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 8 ს. 18 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 10 ს. 30 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 4 ს. 35 წ. **ნარევი** № 106. ღამ. 3 ს. 57 წ.

ბათომისაკენ: ნარევ. № 107, ღამ. 2 ს 24 წ. **სახ.** № 5, ღამ. 2 ს. 42 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, სღ. 8 ს 6 წ.

ერევნისაკენ: საფ. № 4/3, ღამ. 11 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, დილ. 11 ს. 10 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, სღ. 6 ს. 14 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 1 ს. 21 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 1 ს. 12 წ. **სახ** № 5, ნაშ. 1 ს. 50 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 4 წ. **ჩქარ.** № 1, სღ. 7 ს. 14 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 9 ს 59 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 6 ს. 54 წ. **საფ.** № 4, ღამ. 9 ს. 35 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 4 ს. **ნარევ.** № 106, ღამ. 3 ს. 20 წ.

ერევნიდან: საფ. № 4|3, დილ. 6 ს. 4 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, ნაშუადღ. 3 ს. 32 წ. **სახ.-საბ.** დილ. 11 ს. 32 წ.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 9 ს. 26 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 12 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 63, ღამ. 3 ს. 34 წ. **სახ.-საბ** № 65, დილ. 10 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 1 ს. 17 წ. **სახ.-საბ.** № 69, სღ. 5 ს. 57 წ. **სახ.-საბ.** № 71, სღ. 7 ს. 22 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, ღამ. 2 ს. 32 წ. **სახ.** № 79, დილ. 8 ს. 18 წ. **სახ.** № 81, დილ. 11 ს. 7 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 3 ს. 52 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, ღამ. 4 ს. 29 წ. **სახ** № 78, დილ. 9 ს. 6 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 1 ს. 12 წ. **სახ**, 82, ნაშ. 4 ს. 59 წ. **სახ.** № 84, ღამ. 11 ს. 42 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 3 ს. 27 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. 27|28, დილ. 6 ს. 34 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, ღამ. 4 ს. 10 წ. **სახ.** № 4 п, 9 ს. 13 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 3 ს. 6 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 7 ს. 14 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 12 ს. 1 წ. **სახ.** № 7 п, დილ 5 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, სღ. 6 ს. 3 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 4 ს. 22 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 9 ს. 17 ს. **სახ.** № 14, ღამ. 3 ს. 47 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 1 ს. 2 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 5 ს. 8 წ. **სახ.** № 15, ღამ. 10 ს. 27 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 3 ს. 51 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ. № 17, ნაშუად. 3 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს: სახ. № 46, ნაშ. 1 ს. 12 წ. **სახ.** № 65, სღ. 7 ს. 18 წ. **სახ.** № 86, ღამ. 3 ს. 29 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, დილ. 10 ს. 39 წ. **სახ.** № 55, ნაშ. 4 ს. 2 წ. **სახ.** № 76, ღამ. 10 ს. 45 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 11 ს. 25 წ. **სახ.-საბ.** № 62, ღამ. 2 ს. 42 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 5 ს. 12 წ. **სახ.-საბ.** № 66, დილ. 11 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 68, ნაშ. 4 ს. 40 წ. **სახ.-საბ.** № 70, სღ. 6 ს. 30 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 82.

განცხადებანი

ქირავდება სარდაფი

85 ოთხკუთხი საჟენი, ღვინის სავაჭროდ ან საქონლისა ჲ მასალების საწყობად, **თათრის მოედნის მახლობლად,** პატარა სირაჩხანაში, № 13. ჰკითხეთ მეეზოვეს ალბერტს. 727.

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა.

სადგ. სკრაში, (კავკ. რკ. გზა). ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო** (**დეკორატიული**) **ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 710

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშანგის და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვი ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურს და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეხაკუნება კონსულტატიურად.

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. ავანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ზ. ა. ნ ვასარდიანი.**

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიშში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე სომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგ. ერთ ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამე 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ძოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს. (დღ.) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. **მიკირტუმოვი.** 1037

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 1231

ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2. ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

იძლევა ქირით

სულ ხელ-ახლად შეკეთებული 5 თვალი ოთახი მეორე სართულში ყოველის მოწყობილობით და მილის წყლითა. აქვს ფართო შუშაბანდი და რკინის აივანი. ეზოც ფართოა. ბინა კარგი მისახედ-მოსახედია, გულღია და მხიარული. შეიძლება მოეწყოს აბანოც. ქართულ გიმნაზიის გვერდით, სახლი გრ. ყიფშიძისა. 1551.

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას ყოველ გვარ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.

2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.

3. მადნეულობის გამოკვლევას და შე-ფასებას.

4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.

5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ პროსპ.,** სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი“, № ?, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის პიესა „მემობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.



კალოშები

ტრეუგოლნიკ

1553

ინჟენერი **ი. ს. პონდოევი,**

ტფილისი. ელისაბედის ქ, 164. ბაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი
ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი:
კანტორისა № 10—93
აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474

მიიღეთ საუკეთესო გემოვნების მარყვლოვანი,

ძეჭის ზიზილ[illegible]

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

ქ[illegible]

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

◆ შავი ხიზილალა ◆

16 ენკენისთვიდან, გამოდის ყოველ კვირეული საზოგადო - ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

კლდე

რედაქცია იმყოფება: **ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კლდე“**

წლიური ფასი	5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . .	1 „ ‑ 50 კ.
თვეში	— „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. 1495.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა“	„	80 კ.
III „	„ნააზრევი“	„	65 კ.
IV „	„წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ.

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულოვის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ^სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

1407

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში

ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ეროვნისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე, 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას, 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულისა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. 1447

1912 წ. იიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

◆ წელიწადი მერვე. ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●— —●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Готовинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

წ.—1393—წ. გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.